ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარბიელი

სპორტული გაზეთი  პარასკევი 11 ივნისი 2004 №132 (2151)  ფასი 50 თეთრი

# ხვალიდან ყველა ევროპელია
## ვინ აიშვებს პირველ დღეს?



## დეკანოსიძე ამერელია



გურამ დოლენჯაშვილის ფოტო

„ამერის" ამბიციამ, მიზანსწრაფვამ, სერიოზულმა პერსპექტივამ დამაკმაყოფილა და ამიტომაც დავთანხმდი ამ კლუბის წინადადებას

ინტერვიუ გიორგი დეკანოსიძესთან იხილეთ მეორე გვერდზე

სამხრეთაფრიკელი „ხარები" თბილისში არიან. ზე-12-ის ზეგუნდი გუშინ, გამთენიისას, 35 საათიანი მგზავრობის შემდეგ ჩამოფრინდა და საქართველოს საფეხბურთო ნაკრების ბაზაზე დასცა ბანაკი. პრეტორიელი სტუმრები მხოლოდ ერთ-ორ ძირითად მორაგბეს მოისაკლისებენ, თუმც ვინც გუშინ მსუბუქი საათნახევრიანი ვარჯიშისას ვნახეთ, ესენიც რკინას გალეჭავენ. არც ერთი ზედმეტი კილოგრამი, კუნთებით დაბორცვილ, გულლია და მხიარულ აფრიკელებში ერთი შეხედვითაც ამოიცნობა პროფესიონალი მორაგბეები. მხიარულობა, ღლაბუცი და თან საქმე. ნამდვილ საქმეშიც მალე ვნახავთ „ხარებს", დღესაც ივარჯიშებენ, ხვალ კი ორ საათზე „ლოკომოტივზე" ალბათ შესუსტებული შემადგენლობით ამხანაგურად შეერკინებიან „ლოკომოტივის" ბაზაზე სახელდახელოდ შექმნილ ჩვენს კლუბთა ნაკრებს. 16 და 20 ივნისს კიდევ ორი თამაშია.

## ლურჯა ხარები თბილისურ ბალახზე



ბადრი კეთილაძის ფოტო

„ხარების" ხარივით კაპიტანი გეო კრონხე

# ნაბიჯი უკან, ორი წინ
## ამერმა დეკანოსიძე დააჯერა

სენსაციური ტრანსფერი ქართულ რეალობაში: გუშინ პირველლიგელი თბილისის „ამერის" პრეზიდენტმა ზურაბ ფოცხვერიამ და „ვიტ ჯორჯიასთან" ერთად საქართველოს ჩემპიონმა გიორგი დეკანოსიძემ ხელი ხელს დაჰკრეს და სამწლიანი კონტრაქტი გააფორმეს.

გიორგი დეკანოსიძეს, რომელიც ორი წლის წინ მეორე ბუნდესლიგის „ფიურტში" თამაშობდა, წინა სეზონში კი „ვიტ ჯორჯიაში", „ამერთან" რამდენიმედღიანი მოლაპარაკება ჰქონდა. საქმე ის იყო, რომ ფეხბურთელს „ვიტ ჯორჯიასთან" კონტრაქტი პირველ აგვისტოს უმთავრდებოდა, თუმც იქამდე „ამერი" მოსამზადებლად ჩეხეთში წასვლას აპირებს და სასურველი იყო, დეკანოსიძეც ახალ გუნდს გაჰყოლოდა.

ჰოდა, „ვიტ ჯორჯიამაც" კეთილი ნება გამოიჩინა და ფეხბურთელი კონტრაქტის გასრულებამდე გაათავისუფლა.


უკვე ამერელი გიორგი დეკანოსიძე და მწვრთნელი გიორგი ჩიხრაძე

— ცოტა უცნაური ხომ არაა, ჩემპიონი გუნდიდან პირველლიგელ „ამერში" რომ გადახვედი?

— კი, გეთანხმებით, უცნაურია, მაგრამ ამერელთა მონდომებამ, საქმისადმი მიდგომამ გადამადგმევინა ასეთი ნაბიჯი და შემოთავაზებაზე უარი ველარ ვთქვი. „ამერი" ამბიციური, მიზანდასახული გუნდია, კლუბის სამომავლო გეგმებს გავეცანი და კმაყოფილი დავრჩი. სხვანაირად რომ ყოფილიყო, „ამერის" წინადადებას არც დავთანხმდებოდი.

— თუ არ ვცდები, „ვიტ ჯორჯიასთან" ჯერაც კონტრაქტი მაკავშირებს...

— კონტრაქტის ვადა 1 აგვისტოს იწურებოდა, თუმც „ვიტ ჯორჯიას" პრეზიდენტს ვესაუბრე და მანაც არ შემაყოვნა.

— ამერთან" რამდენწლიანი კონტრაქტი გააფორმე?

— სამწლიანი, თუმც კონტრაქტში არის პუნქტი, რომლის თანახმადაც, თუ „ამერი" წლეულს უმაღლეს ლიგაში ვერ გადავიდა, გუნდის დატოვებას შევძლებ.

— შენი დონის ფეხბურთელისთვის პირველ ლიგაში თამაში უკანგადადგმული ნაბიჯი ხომ არაა?

— ასე არ ვფიქრობ. შესაძლოა, ახლა უკან გადავდგი ნაბიჯი, მაგრამ იმედი მაქვს, „ამერთან" ერთად მომავალში ორი ნაბიჯით წავიწევ.

— ერთი უცნაურობაც: თამაშობდი მეორე ბუნდესლიგის საშუალო დონის კლუბში, მერე საქართველოში ჩამოხვედი და კარიერა უმაღლესლიგელ „ვიტ ჯორჯიაში" გააგრძელე, ახლაა და, პირველი ლიგის გუნდში ხარ. ზოგადად, პირიქით ხდება ხოლმე, პირველი ლიგიდან იწყებენ და ბუნდესლიგისკენ იკვლევენ გზას.

— მართლაც უცნაურია, მაგრამ იგივეს გავიმეორებ, რაც უკვე ვთქვი, „ამერის" ამბიციამ, მიზანსწრაფვამ, სერიოზულმა პერსპექტივამ დამაკმაყოფილა და ამიტომაც დავთანხმდი ამ კლუბის წინადადებას.

— ჩემპიონი გუნდი რომ დატოვე, გული არ გწყდება?

— გული კი მწყდება, მაგრამ ის მახარებს, რომ ამ გუნდში მოვედი. ჩემს გადაწყვეტილებას არ ვნანობ და მგონია, სწორი ნაბიჯი გადავდგი.

— როგორ ფიქრობ, წლეულს „ვიტ ჯორჯიას" ჩემპიონობა ლოგიკური იყო?

— იყო, რადგან „ვიტ ჯორჯია" სხვებზე მეტად იმსახურებდა ჩემპიონობას. მონდომებამ, გამარჯვების სურვილმა, საბოლოოდ ასეთი შედეგი მოიტანა. „ვიტ ჯორჯია" ძალიან მეგობრული, შეკრული გუნდი იყო.

— და ახლა რა ხდება ამ გუნდში? შენ „ამერში" წახვედი, ნოზაძეს და ადამიას „დინამოსკენ" მიუწევთ გული, გოცირიძე უკვე რუსეთშია...

—არ ვიცი, ვერაფერს გეტყვით.

— პირველი ლიგის მატჩებს თუ ესწრებოდა ხოლმე?

— სხვებზე ხშირად „რუსთავის" მატჩებზე დავდიოდი. იქ ჩემი მეგობრები თამაშობენ.

— მერე და რას იტყვი, დიდი სხვაობაა პირველ და უმაღლეს ლიგებს შორის?

— საკმაოდ. უმაღლეს ლიგაში უფრო მაღალი დონეა, კლასია მეტი და გაცილებით ძლიერი ფეხბურთელებიც თამაშობენ.

— შენთვის საუკეთესო პარტნიორი ვინ არის?

— მიჭირს ვინმეს გამორჩევა, „ვიტ ჯორჯია" ძალიან შეკრული გუნდია და ფეხბურთელებს ერთმანეთის, რომ იტყვიან, უსიტყვოდ გვესმოდა. ისე კი, მე, ადამია, გოცირიძე და ინწკირველი ბავშვობიდან ერთად ვართ.

— გამთამაშებელი დეკანოსიძე „ამერში" თავდამსხმელად ვის ისურვებდა? რჩევა რომ გკითხონ, რეკომენდაციას ვის გაუწევდი?

— რა ვიცი, ალბათ გოცირიძეს, ადამიასა და მარცვალაძეს. მხოლოდ ვიტჯორჯიელები ვთქვი, ამ გუნდში ვთამაშობდი და იმიტომ. ისე, „ამერშიც" კარგი თავდამსხმელები არიან და იმედი მაქვს, ჩემი პასებით ბევრ გოლს გაიტანენ.

— თამაშისას შენი ნაკლი რა არის?

— ფიზიკური მომზადება.

— პლუსი?

— ვერ გეტყვით. ჩემი თამაში თქვენი შესაფასებელია. საკუთარ თავზე ვერ ვილაპარაკებ.

**კობა ინასარიძე**


ცოტა ხნის წინ გიორგი დეკანოსიძემ „ვიტ ჯორჯიას" ჩემპიონობა იზეიმა

### უკრაინა

პრემიერლიგა
XXVIII ტური

ჩერნომორეცი 2:1 ილიჩევეცი
კრივბასი 1:0 ობოლონი
მეტალურგი (ზ) 2:0 კარპატი
შახტარი 1:0 ბორისფენი
ვოლინი 1:3 მეტალურგი (დ)
არსენალი 1:6 დინამო
დნიპრო 1:0 ზირკა
ტავრია 3:1 ვორსკლა

### ნორვეგია

თასის 1/16 ფინალი
კვიკ ჰალდენი 1:4 სტაბეკი
ლილესტრომი 2:0 ჰიონეფოსი

### ფინეთი

ვეიკაუსლიგა. IX ტური
ჰაამენლინა 0:1 ტამპერე
ჰაკა 2:0 ლაჰტი
ჯაზი 3:4 ინტერი
მიუპა 1:1 ჰიკ
ტპ-47 1:2 ალიანსი
ტურკუ 3:1 იარო

რეკლამა
სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08;
Fax: 94 33 80

*გუშინ „ბათუმს" ახალწვეულები უნდა წარედგინა, მაგრამ ეს საქმე 15 ივნისამდე გადაიდო*

## ასლანი მთავრობას ელის

შეკრებით კი შევიკრიბეთ, მაგრამ ახალი ფეხბურთელები ჯერ არ შეგვმატებიან, რადგან ზოგი რამ ჯერაც გასარკვევიაო, გვითხრა „ბათუმის" გენერალურმა დირექტორმა ასლან ბალაძემ, გუშინ რომ შევეხმიანეთ. მისი თქმით, ფეხბურთელთა ტრანსფერებზე კლუბის ვიცე-პრეზიდენტი ვახტანგ ქორიძე მუშაობს. ბალაძე დარწმუნებულია, რომ უკლებლივ ყველა სასურველ ფეხბურთელს ჩაიყვანს ბათუმში, თუმც მანამდე ფინანსური საკითხებია მოსაგვარებელი კლუბებთან და თავად ფეხბურთელებთან. „ბათუმს" კი საამსაქმოდ აჭარის მთავრობის იმედიც აქვს. მაგრამ მთავრობა მოგვიანებით თუ მოიცლის ფეხბურთისთვის, რაკი ახლა აჭარაში საარჩევნო ციებ-ცხელებაა.

**პაატა კვანტალიანი**

## თაბაშირის თითი



**კიევის** „დინამო" სეზონს 19 ივნისს დაასრულებს, ფეხბურთელებს ათდღიან შვებულებაში გაუშვებს, მერე კი პირველი მოსამზადებელი ეტაპი ტრადიციულად იალტით დაიწყება. ძნელად დასაჯერებელია, რომ კიეველები წლეულს ოქროს მედლებს შეელიონ, თუმცა ჩვენ იქ მოთამაშე ალეკო ამისულაშვილის ბედი გვაინტერესებს. მან ფეხის ტრავმა კი მოიშუშა, მაგრამ ახლაც თაბაშირით დადის. „ერთ-ერთ საპირველლიგო მატჩში უხერხულად დავეცი, თავიდან ყველას ხელის მოტეხილობა ეგონა, მაგრამ, საბედნიეროდ, თითი ყოფილა მოტეხილი. მიხაილიჩენკო ცოფებს ყრიდა, ორივე ტაიმი რატომ ათამაშეთ, „არსენალთანაც" მჭირდებოდაო" — გვითხრა ალეკომ გუშინ, კიევში რომ დავუკავშირდით.

ახლა იგი ფორმის შესანარჩუნებლად ვვარჯიშობს, 19 ივნისიდან გათავისუფლდება, საქართველოში ჩამოვა და კიევში თვის ბოლოსათვის გაბრუნდება.

**დავით ერაძე**

# დილა — მარეკი

# დუპნიცაში კაი პური ჭამეს

## მარეკმა გორელები შავ ზღვაში არ შეუშვა

**მარეკი**

დუპნიცა, ბულგარეთი

დაარსდა 1919 წელს

კლუბის პრეზიდენტი: ვასილ ბურანოვსკი

მთავარი მწვრთნელი: იანკო დინკოვი

სტადიონი: „ბონჩუკი" (ტევადობა 26 000)

ბულგარეთის თასის მფლობელი: 1978

თასების მფლობელთა თასზე: 2 მატჩი, 1 მოგება, 0 ფრე, 1 წაგება, ბურთები 3:5

უეფას თასზე: 4 მატჩი, 2 მოგება, 0 ფრე, 2 წაგება, ბურთები 5:5

**ლამისაა,** ბულგარული ვისწავლოო, გვეხუმრა ამას წინათ გორის „დილას" თავკაცი ზურაბ ხორგუაშვილი, თუმცა ამ ხუმრობაში სიმართლეც იყო: ინტერტოტოს თასისთვის შემზადებული გორელები კარგა ხანს ცდილობდნენ მეტოქის გარკვევას და ისე გამოვიდა, რომ ხელში დუპნიცას „მარეკი" შერჩათ. არადა, მანამდე ბულგარელების უთავობის გადამკიდე ხორგუაშვილმა ჯერ ვარნულ „ჩერნო მორეზე" შეაგროვა ინფორმაციები, მერე ბურგასულ „ჩერნომორეცს" ჩაუჯდა... ახლა კი „მარეკის" დროა.

გორელებს უკვე ექნებათ ინფორმაცია დუპნიცელ მეტოქეზე, თუმც რამდენად საკმარისი, ძნელი სათქმელია. ჩვენ კი „მარეკის" მიღწევაჩავარდნებზე და საერთოდ, ამ კლუბის ისტორიაზე მოვიძიეთ ამბები...

„მარეკი" ერთ-ერთი უძველესი ბულგარული კლუბია, 1919 წელს დაარსდა. იმ დროისთვის დუპნიცაში ოთხი კლუბი არსებობდა: „სლავია", „ლევსკი", ЖСК და „ატლეტიკი". დუპნიცური კვარტეტი 1923 წელს სამხრეთ-დასავლეთ ფეხბურთის ლიგაში გაწევრიანდა, 1935-44 წლებში კი რესპუბლიკურ ტურნირებშიც მონაწილეობდა.

კლუბის მეორე დაბადების თარიღი 1947 წელია, როცა ოთხივე დუპნიცურმა კლუბმა ხელი ხელს დაჰკრა, გაერთიანდა და „მარეკად" მოინათლა. აქედან მოყოლებული, 1971 წლამდე, „მარეკი" ქვეყნის ჩემპიონატის A ჯგუფში თამაშობდა და 471 მატჩი ჩაატარა. „მარეკის" სახელს უკავშირდება ბულგარული ფეხბურთის რამდენიმე ლეგენდა, რომელთა გვარ-სახელები ჩვენ ვერაფერს გვეტყვის, თუმც მაინც ჩამოვთვალოთ: დიმიტრი ისაკოვი, საშო კოსტადინოვი, გეორგი საპინევი, კირილ მილანოვი, სტოიან სტოიანოვი და ასე შემდეგ.

1960-61 წლების სეზონში „მარეკმა" საუკეთესო შედეგი აჩვენა A ჯგუფში — მეხუთე ადგილზე გავიდა. ამ წარმატების მოთავე კი ცნობილი მწვრთნელი ლუბენ (ბობი) პეტროვი იყო. 1968-69 წლებში მარეკელი გეორგი საპინევი ქვეყნის №1 სპორტსმენად აღიარეს.

მეტ-ნაკლებად წარმატებული იყო მომდევნო წლებიც. 1970-71 წლების სეზონში „მარეკი" ბულგარეთის თასის ნახევარფინალში გავიდა, კირილ მილანოვი კი ჩემპიონატის საუკეთესო ბამბარდირი გახდა.

„შავი წელი" 1972 გამოდგა, როცა გორელთა დღევანდელი მეტოქე A ჯგუფიდან გავარდა, თუმც 1976-77 წლებში რჩეულთა შორის დაბრუნდა და მყის ბრინჯაოს პრიზიორი გახდა.

მერე იყო დებიუტი უეფას თასზე და საკმაოდ ხმაურიანიც. „მარეკმა" საკუთარ „ბონჩუკზე" 3:0 გაანადგურა უნგრული „ფერენცვაროში" და მომდევნო ეტაპზე მიუნხენის „ბაიერნს" დაეჯახა. სენსაცია არ მოხდა, გერმანელებმა დუპნიცელები იოლად დაამარცხეს, თუმც ქალაქში მაინც ყველა კმაყოფილი იყო. მათ ხომ ისეთი ვარსკვლავები ნახეს, მაიერი, შვარცენბეკი, რუმენიგე და ობლაკი რომ იყვნენ.

1978 წელი კი „მარეკისთვის" კიდევ უფრო იღბლიან-ტიტულიანი გამოდგა: 24 მაისს დუპნიცელებმა სოფიური ცსკა ლუბენ სევდინის გოლით 1:0 დაამარცხეს და ქვეყნის თასი მოიპოვეს. შედეგად „მარეკმა" თასების მფლობელთა თასზე მოსინჯა ძალა და შოტლანდიურ „აბერდინთან" პირველ ეტაპზევე დაყარა ფარ-ხმალი.

ამის შემდეგ „მარეკმა" ჩაყვინთა და მხოლოდ 2001 წელს შეახსენა თავი ბულგარეთს, როცა A ჯგუფში 1983 წელს დაკარგული ადგილი დაიბრუნა. დუპნიცელთა გადამრჩენი სტეფან მილუშევია, რომელმაც 18 წლის წინ შეიძინა გუნდი და მალევე შეძლო მისი გაძლიერება, თუმც „მარეკმა" A ჯგუფში ადგილი ვერ შეინარჩუნა და 2001-02 წლების სეზონი ისევ ქვედა ლიგაში გაატარა, სადაც ისევ პირველი ადგილი მოიპოვა და მას შემდეგ დღემდე ელიტაშია.

კლუბის ყველა დროის რეკორდსმენი საშო პარგოვია, ვინც 376 მატჩში 165 გოლი გაიტანა. ასეთი შედეგით დღემდე ვერავინ დაიკვეხნის. ეს არის „მარეკის" მოკლე ისტორია, საიდანაც შეგვიძლია დავასკვნათ, რომ დუპნიცელები საშუალოზე დაბალ დონეზე თუ არიან ბულგარეთში. A ჯგუფში საბოლოოდ დამკვიდრებიდან დღემდე „მარეკისთვის" ათეულში მოხვედრაც კი წარმატებად ითვლება. სათქმელია ისიც, რომ გუნდის ბოლო წლების ლიდერი ქართველი გახლდათ — ამირან მუჯირი „მარეკისთვის" შეუცვლელი ფიგურა იყო და მას ახლაც დიდად აფასებენ დუპნიცაში. ეგაა, ჩვენებური უკვე ერთი წელია, სოფიის ცსკა-ში გადაბარგდა.

წლევანდელი უმუჯირო სეზონი კი „მარეკმა" ღირსეულად ჩაატარა და მისთვის უჩვეულოდ მაღალ, მეშვიდე ადგილზე გავიდა, რაც ბევრისთვის მოულოდნელი გამოდგა. ეტყობა, ამან ნამეტანი იმოქმედა კლუბის პრეზიდენტზე და... სტეფან მილუშევი 16 მაისს გადადგა.

„ჩვენ კარგი სეზონი გვქონდა. მეშვიდე ადგილი „მარეკისთვის" ალბათ მაქსიმუმი იყო. ახლა შემიძლია, მშვიდად წავიდე" — განაცხადა პრეზიდენტმა და კლუბი მწვრთნელ რუმენ სტოიანოვთან ერთად დატოვა. მილუშევმა წასვლა დიდი ბანკეტით აღნიშნა, სადაც ფეხბურთელები ოჯახებით დაპატიჟა და მათ მეუღლეებს წითელი ვარდები აჩუქა. მილუშევის თქმით, იგი ფეხბურთში დარჩება და შესაძლოა, ვარნის „ჩერნო მორე" შეისყიდოს.

რადგან „ჩერნო მორე" ვახსენეთ, გორელთა დილემაც გავიხსენოთ. სწორედ „ჩერნო მორემ" დაიკავა ის საინტერტოტო მეექვსე ადგილი ბულგარეთის ჩემპიონატში, თუმცა ფინანსური კრიზისის გამო ამ ტურნირში მონაწილეობაზე უარი თქვა. მერე კი ადგილი ბურგასის „ჩერნომორეცს" დაუთმეს, რომელიც წლეულს საერთოდ პირველ ლიგაში გავარდა, თუმც უცებ ჰორიზონტზე „მარეკი" გამოჩნდა და გორსაც უცნაური დილა გაუთენდა.

**ბაჩა შალამბერიძე**

**ოპტიმალური მარეკი**

*ნ. ჩავდაროვი, გ. ივანოვი, ი. კუჩუკოვი, გ. კარაკანოვი, ვ. ბონევი, ვ. ველიკოვი, ი. ილიევი, კ. ბიბიშკოვი, ვ. კიროვი, ხ. არანგელოვი, ტ. პიტოშკა*



ყოფილი მარეკელი და ამჟამად არმიელი ამირან მუჯირი (№10) ყოფილი თანაგუნდელების და „დილას" მომავალი მეტოქის წინააღმდეგ



ეროვნული ბიბლიოთეკა

# გოჩაშვილი იცვლის პოზიციას, ოღონდ არა აზრს

## თამაში ჩვენი სჯობდა, ფული დინამოსი

*საქართველოს ჩემპიონი „ვიტ ჯორჯია" 14 ივნისს შეიკრიბება და საახალსეზონო მზადებას თბილისში დაიწყებს. მანამდე კი ვეტერინართა კლუბისთვის შემაშფოთებელი ხმები აგორდა. ამბობენ, გუნდი იშლებაო. დაშლა ეგებ მართლაც გადამეტებული ნათქვამია, მაგრამ კლუბი უკვე ორმა წამყვანმა მოთამაშემ დატოვა — რეზო გოცირიძემ და გიორგი დეკანოსიძემ, ორიც რიგშია — გიორგი ადამია და ლაშა ნოზაძე. გუშინ ბორჯომში დასასვენებლად მყოფ ერთ-ერთ ყველაზე სტაჟიან ვიტჯორჯელს, ვლადიმერ გოჩაშვილს შევეხმიანეთ, მით უფრო, ითქვა, გუნდის დატოვებას ისიც აპირებსო*

— განვლილი სეზონი არასოდეს დამავიწყდება. შვიდი წელია, „ვიტ ჯორჯიაში" ვარ და ჩემპიონი პირველად გავხდი.

— გასაკვირიც ეგაა, ჩემპიონი გუნდი ნელ-ნელა სუსტდება, წამყვან ფეხბურთელებს კარგავს...

— რაც ნამდვილად ვიცი, ისაა, რომ გოცირიძე რუსეთშია და ალბათ მალე კონტრაქტსაც გააფორმებს. მართალია, ძალიანაც არ მინდა, „ვიტ ჯორჯია" დაიშალოს ან დასუსტდეს, მაგრამ თუ ბიჭებს უკეთესი ვარიანტი გამოუჩნდებათ, რატომაც არ უნდა წავიდნენ?!

— შენც ხომ არ აპირებ გუნდის დატოვებას?

— რეალური წინადადება რომ მქონდეს, სიამოვნებით მივიღებდი. მართალია, „ვიტ ჯორჯიაში" კონტრაქტით კიდევ ერთი წელი უნდა ვითამაშო, მაგრამ არა მგონია, სახეირო ვარიანტის გამოჩენის შემთხვევაში კლუბის ხელმძღვანელობამ პრობლემები შემიქმნას.

— უკეთესი გუნდები ახსენე და ვიტჯორჯიელებით თბილისის „დინამოცაა" დაინტერესებული. „დინამო" ღლესდღეობით უკეთესია?

— როგორც ვარიანტი, ნაღდად არაა ჩვენზე უკეთესი. ეს გასულმა სეზონმაც დაგვანახა, ჩემპიონობა „დინამოს" დამსახურებულად ავართვით. თუმც მეორეცაა, ფინანსურად მათ ნამდვილად ვერ შევედრებით.

— ამბობენ, „ვიტ ჯორჯიადან" ფეხბურთელთა წასვლა საჩემპიონო პრემიების სიმწირემ დააჩქარაო...

— უხერხული შეკითხვაა... არა მგონია, მარტო ეგ იყოს მიზეზი. საქართველოში ყოველთვის ასე იყო, ნებისმიერი ფეხბურთელი ბედის საძიებლად უცხოეთში წასვლას საუკეთესო გამოსავლად მიიჩნევდა. ჩვენს გუნდსაც ყოველწლიურად ტოვებდნენ წამყვანი მოთამაშეები...

— ხშირად შეცვლაზე თამაშობდი. ეს ტრავმების ბრალი იყო თუ მწვრთნელების ტაქტიკური ჩანაფიქრი...

— მადლობა ღმერთს, ტრავმას არ შევუწუხებივარ, უბრალოდ, მწვრთნელებმა გადაწყვიტეს, რომ ასე უკეთესი იქნებოდა, ჩვენი წინა ხაზი მეტოქის დაცვას დაღლიდა და შემდეგ მე ჩემს საქმეს გავაკეთებდი.

— მოედანზე ხშირად გიცვლიდნენ პოზიციას, ხან დაცვას ეხმარებოდი, ხანაც შეტევას, შენ სად გირჩევნია თამაში?

— იყო თამაშები, როდესაც გუნდს სჭირდებოდა და მარჯვენა მცველადაც მითამაშია და მარჯვენა ნახევარმცველადაც, მაგრამ თავდასხმაში თამაში და გოლების გატანა მირჩევნია.

— რომელი ფეხბურთელი მოგეწონა ამ ჩემპიონატში?

ბევრის გამორჩევა შეიძლება, მაგრამ მე მაინც გოგობერიშვილს გამოვყოფდი. ის ყოველთვის სტაბილური და საჭირო მოთამაშეა.

— პირველად თქვენი გუნდის ისტორიაში და ვიტჯორჯიელთა კარიერაში ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო რაუნდში ითამაშებთ...

— ეს ახალი სეზონის ერთ-ერთი ყველაზე დიდი სტიმული იქნება. ვიცით, რომ ჩვენი შანსები მცირეა, მაგრამ ერთში ნაღდად ვარ დარწმუნებული, ბიჭები ყველაფერს გააკეთებენ, რათა არც გუნდი შეარცხვინონ და არც ქართული ფეხბურთი. მგონი, აქედან რაღაც გამოვა.

— დასვენება საკმაოდ გაგიგრძელდათ, როდისღა უნდა დაიწყოთ საევროპო მზადება?

— იმდენად დამღლელი სეზონი გვქონდა, რომ ნორმალურ დასვენებას ნაღდად ვიმსახურებდით. შეკრებას კი 14 ივნისს ვიწყებთ. ჯერ თბილისში ვიქნებით, 26 ივნისისთვის კი ავსტრიაში ან გერმანიაში გავემგზავრებით.

**დავით ერაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# 2003 ლეგიონი 2004

*მოსკოვიდან გლაზგომდე შორია, მაგრამ თუ ჩვენს წარმატებულ ლეგიონერებს ჩამოვთვლით, ამ მარშრუტის გავლაც მოგვიწევს — რუსეთის დედაქალაქი, ვესტფალია, შემდეგ გერმანია-საფრანგეთი ს საზღვარზე შევისვენოთ, ტიტების ქვეყანაც მოვინახულოთ, ალპებსაც გადავუფრინოთ და მერე სტვირსაც ჩავბეროთ. ის ხალხი, საქართველოს სახელი ევროპაში რომ გააქვთ, ამას ალბათ იმსახურებენ და მათ წლიურ ჩაუქობაზეც ხომ უნდა ვთქვათ?!*



## წესიერი კაცი

**პატარა** და ლამაზ ფრაიბურგს ასეთივე ჩია და, ლამაზად მოთამაშე კერპი ჰყავდა — თუ რამ გაუთვალისწინებელი არ მოხდა, ალექსანდრე იაშვილი მომავალ სეზონს სხვა ბუნდესლიგურ გუნდში ითამაშებს.

ცხრა გოლი და რვა საგოლე პასი — ასეთია იაშვილის მონაგარი 2003-04 წლების ბუნდესლიგაში, მაგრამ მხოლოდ ციფრები ბევრის მთქმელი ვერ იქნება — იაშვილს „ფრაიბურგში" ხუთი სეზონი უთამაშია და მეხუთეში ყველაზე უფრო კარგად წარმოჩინდა, როგორც გუნდის ლიდერი და „ფრაიბურგის" თითქმის ყველა მწვავე იერიში იაშვილით ვითარდებოდა.

და რაც უმთავრესია, ქართველმა ჟურნალისტებმა „სარბიელის" ტრადიციული გამოკითხვის შედეგად წლის საუკეთესო ფეხბურთელად იაშვილი დაასახელეს.

ისიც უნდა ითქვას, რომ იაშვილმა გაზაფხულზე „ფრაიბურგთან" სამწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი, რათა „ფრაიბურგი" მის ტრანსფერში ფულს გამორჩეს — იაშვილმა არც კაცობაში ააცილა მიზანს.



## უიღბლო და ჩემპიონი



სერია A-ში 6, ჩემპიონთა ლიგაში 1, იტალიის თასზე 3 და იტალიის სუპერთასზე 1 მატჩი — ეს ყველაფერი 900 წუთში ჩაეტია. ეს მშრალი ციფრებია, სტატისტიკური მონაცემები, რომელიც ქვეყნის სამგზის საუკეთესო კახა კალაძეს განვლილ სეზონში დაუგროვდა „მილანში".

დაგვეთანხმებით, ცოტაა, თუმც მრავლისმეტყველი, მიზეზი კი საყოველთაოდ ცნობილი — „მილანის" ფეხბურთელი ტრავმებმა გატანჯა.

ასეთი კოშმარული სეზონი კარიერაში ჯერ არ მქონია, ტრავმებმა გამაწამა. საბედნიეროდ, ახლა ყველაფერი კარგადააო, გვითხრა ერთ-ერთ ინტერვიუში კახა კალაძემ.

ტრავმა ტრავმად და 2003-04 წლების სეზონი ქართველი მცველისთვის მაინც ბედნიერად დასრულდა — კალაძე იტალიის ჩემპიონია! სხვა საქმეა, რამდენად მიუძღვის წვლილი ჩვენებურს „მილანის" მიერ მე-17 სკუდეტოს მოგებაში, მაგრამ ფაქტია, მან კუთვნილი ოქროს მედალი მიიღო, რადგან სეზონის წინ „როსონერის" განაცხადში შეიყვანეს.

...აგვისტოს ერთი ჩვეულებრივი დღე, მოახლოებული სეზონისთვის გამალებულ სამზადისში მყოფი „მილანი" ბუქარესტში, რუმინულ „ნაციონალს" ხვდება ამხანაგურად, 2:0-ს უგებს, მაგრამ უშავდება გუნდის ერთ-ერთი წამყვანი ფეხბურთელი, მარცხენა მცველი კალაძე. ქართველი საზარდულმა ძალიან შეაწუხა. მოგვიანებით გაირკვა, რომ ტრავმა სერიოზული ყოფილა. ოპერაცია გარდაუვალი იყო. „მილანის" ექიმს დანიელე ტონიაჩინის ბოლოსლა გაუმხელია, ისეთი ტრავმა გქონდა, სავსებით შესაძლებელი იყო, კარიერა დაგესრულებინაო.

## სიომინმა ასათიანს ნახევარი მოაჭრა

**მალხაზ ასათიანის** რუსული კარიერა აიწონა-დაიწონასავით აეწყო. ჯერ იყო და იოლად მოიკიდა ფეხი „ლოკომოტივში", მერე საერთოდ გაუჩინარდა ძირითადი შემადგენლობიდან, დღეს კი რკინიგზელთა ერთ-ერთი უმთავრესი ფიგურაა.

ყველაზე მნიშვნელოვანი კი ასათიანის ამპლუის შეცვლაა. შემტევი და ბოლო ხანს გოლებს დაჩვეული ნახევარმცველი იური სიომინმა დაცვის ცენტრში დააყენა და მუდამ ჯიუტად აცხადებს, რომ ამაში არ შემცდარა. ასათიანმაც სწრაფად აუღო ალლო ახალ პოზიციას და ჩემპიონთა ლიგასა თუ პრემიერლიგაში ღირსეულად წარმოაჩინა თავი. რამდენჯერმე მატჩის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს და ტურის სიმბოლურ ნაკრებშიც შეიყვანეს, რც მცველ ასთიანისთვის ურიგო შედეგი არ უნდა იყოს.



## გოლიანი ASHVETIA უგოლო АШВЕТИЯ



პრემიერლიგა პრემიერლიგად და მიხეილ აშვეთიასთვის ყველაზე წარმატებული ჩემპიონთა ლიგა გმოდგა. მოსკოვის „ლოკომოტივის" ქართველმა თავდამსხმელმა ლომის წილი დაიდო გუნდის ევროპულ წარმატებაში. რკინიგზელებს ლიგის ჯგუფურ ეტაპზე მოხვედრა სანატრელი ექნებოდათ, რამდენიმე თვის წინ ვლადიკავკაზის „ალანიადან" აშვეთია რომ არ შეეძინათ. სწორედ აშვეთიას ორმა გოლმა მოუღო ბოლო დონეცკურ „შახტარს". ჩვენებურმა ჯგუფშიც გააწამა ევროპული ბობოლები და ამის დასტური თუნდაც მილანის „ინტერის" კარში გატანილი ულამაზესი გოლია.

ეგაა, აშვეთიას ახლა ჩავარდნა აქვს და ახალდაწყებულ რუსულ ჩემპიონატში ჯერაც ვერ გაუხარია. თუმცა ამას ვინ ჩივის, რკინიგზელთა ქარველი ისე გამოიფიტა, რომ ისრაელთან ამხანაგურ მატჩშიც ვერ ითამაშა — ექიმებმა დასვენება ურჩიეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# 2003 ლეგიონი 2004

## შოთა-SHOT
### მისტერ ბინი კარგად ისვრის



„მისტერ ბინმა“ სეზონი კარგად დაიწყო, სწორედ შოთა არველაძე იყო, შპაგატი რომ გაჭიმა და ისე გაუტანა გოლი სტუმრად „კოპენჰაგენს“, რითაც „რეინჯერსი“ ჩემპიონთა ლიგაში მოხვდა და „ჩაფართა“ წლიური ბუიჯეტი ათი მლიონი გირვანქით გაიზარდა.

ესეც რომ არა, შოთა გასულ სეზონში „რეინჯერსის“ ნამდვილ ლიდერად იქცა, რაც ჩემპიონთა ლიგის მატჩებშიც ჩანდა. თუმც „რეინჯერსმა“ სეზონი ჩააგდო, უტიტულოდ დარჩა. არველაძე კი ორჯერ დაასახელეს შოტლანდიურ პრემიერლიგაში თვის საუკეთესო ფეხბურთელად.

შოთამ ტრავმიანობის გამო სეზონი სრულად ვერ ითამაშა. სქოთური პრემიერლიგის 16 მატჩში 12 გოლი გაიტანა, ხოლო ფეხბურთის საერთაშორისო სტატისტიკის ბიურომ ჩვენებური მსოფლიოს ათ საუკეთესო ბომბარდირთა სიაში შეიყვანა, რომლებსაც ეროვნული ჩემპიონატების უმაღლეს ლიგებში გატანილი გოლები დაუთვალა — შოთას ორასზე მეტი აქვს შეგდებული

არველაძემ მარტში მუხლის ოპერაცია გაიკეთა და ახლა დილმის ბაზაზე ინდივიდუალურად ვარჯიშობს. თუ რეაბილიტაციის პროცესი წარმატებით ჩაივლის, „რეინჯერსს“ არველაძესთან ორი წლით სურს კონტრაქტის გაგრძელება.

## გაიხედეთ სერზე — სერი ზურაზე ლაპარაკობს



გაგი ისაკაძის ფოტო

**ზურაბ ხიზანიშვილი** „რეინჯერსმა“ თითქმის მუქთად, სულ რალაც 90 ათას გირვანქად ჩაიგდო ხელში — ეს თანხა გლაზგოელებმა ჩვენებურის საკომპენსაციოდ ჩაუთვალეს „დანდის“.

„რეინჯერსის“ დარ ტრადიციულ და ქარიზმატულ გუნდში თამაში 22 წლის ფეხბურთელისთვის ძნელია, მაგრამ ზურამ ტოლი არავის დაუდო. თუმც ხიზანიშვილი ერთი ხანობა ზურგის ტრავმამ შეაწუხა და ფორმიდან ამოვარდნილს ძირითადში ადგილის დაბრუნება ცოტა გაუჭირდა.

მთავარი კი ისაა, რომ ზურაზე „რეინჯერსის“ დამრიგებელმა ალექს მაკლიშმა თქვა, ფანტასტიკური სეზონი ჰქონდაო.

ყველაზე თავგამოსაჩენი მატჩი კი ზურასთვის ალბათ მანჩესტერში იყო ჩემპიონთა ლიგაზე — „რეინჯერსმა“ სერ ალექსის გუნდთან 0:3 კი წააგო, მაგრამ ხიზანიშვილმა რაიან გიგზი ისე ამოკეტა, რომ ფერგიუსონმა ქართველ მცველზე რამდენიმე წუთი ილაპარაკა ბრიტანელ ჟურნალისტებთან.

ხიზანიშვილი აგენტ ათოლ სტილს გაეყარა და ახლა მის საქმეებს ..კან ბენეში უყურებს, ხოლო ზურას რამდენიმე ინგლისური კლუბი.

მოკლედ, ხიზანიშვილის შოტლანდიიდან უკეთეს ჩემპიონატში წასვლას მალე უნდა ველოდოთ.

## კობი უფრო მაგრად იხუმრებს

თუ ასაკს დავუთვლით, „ფრაიბურგი“ და „შალკე“ კბილა კლუბები არიან, მაგრამ თუ ტიტულებზე და რეგალიებზე მიდგა საქმე, ვესტფალიელები ბევრად მაღლა დგანან.

ლევან კობიაშვილი „ფრაიბურგიდან“ „შალკეში“ გასული სეზონისთვის გადავიდა. „ხუმარათა“ სახელოვანმა მწვრთნელმა იუპ ჰაინკესმა კობიაშვილი მეტწილად მარცხენა მცველად ათამაშა. არადა, რამდენიმე გერმანელი ჟურნალისტი წინასწარმეტყველებდა, კობიაშვილი „შალკეში“ ანდრეს მიოლერის შემცვლელი იქნებაო.



კობიაშვილმა სეზონი სტაბილურად ჩაატარა, მაგრამ ალბათ ხინჯად უნდა დარჩეს, რომ გოლი ერთხელაც ვერ შეაგდო. თუმც გერმანელი ექსპერტები ირწმუნებიან, ჰაინკესის „შალკე“ მომდევნო სეზონს გაცილებით უკეთ ჩაატარებს, მწვრთნელმა თავისი იდეების ბოლომდე განხორციელება ერთ სეზონში ვერ მოასწროო — კობიაშვილიც უფრო მჭექად უნდა წარმოჩნდეს გელზენკირხენულ გუნდში.

## ვინ შესვა ვიზე ვირზე?

**ცაციას** მარჯვედ ხმარობსო, ლევან ცქიტიშვილზეცაა ნათქვამი. ცქიტიშვილი ბუნდესლიგაში იმითაც გამოირჩა, რომ „ფრაიბურგში“ შემქმნელია და ჩამშლელიც. ცქიტიშვილი ნახევარდაცვის ბურჯია და მისი ტექნიკურობა „ფრაიბურგს“ ძალიან ბევრს სძენს.

ფოლკერ ფინკეს გუნდმა მიზანი აიხდინა — მე-13 ადგილზე გავიდა და 18 გუნდიან ბუნდესლიგაში ყოფნა მინიმუმ ერთი წლით გაინაღდა.

ცქიტიშვილმა 29 მატჩი ითამაშა და ოთხი გოლი გაიტანა. ლევანმა ისიც გვაჩვენა, რომ ძალიან კარგი პენალტისტია. მეორე წრეში „ფრაიბურგი“ „ლაუტერნს“ მასპინძლობდა, 0:0 იყო და ბოლო წუთებზე ალექსანდრე იაშვილმა 11-მეტრიანი მოინაგრა. ცქიტიშვილთან „კაიზერსლაუტერნის“ და გერმანიის ახალგაზრდული ნაკრების მეკარე ტიმ ვიზე მივიდა და სიტყვებით სცადა, ქართველის მწყობრიდან გამოყვანა. პენალტი ცქიტიშვილმა უნაკლოდ შეასრულა და ვიზეს კუთვნილი მიაძახა — გამოილე...!



ბევრი რომ არ გავაჯანჯლოთ, ფეხბურთი ასეთი ეპიზოდებითაც ფასობს. „ფრაიბურგი“ კი განვლილ სეზონში ქართველებმა მართლაც ათრიეს.

## გახოკიძეს ფრთები უნდა

**გოგა გახოკიძეს** ერთი ნაბიჯი დააკლდა ჰოლანდიურ ტიტულამდე. „ტვენტეს“ ქართველმა ნახევარმცველმა არცთუ უმნიშვნელო წვლილი შეიტანა პატარა გუნდის ჰოლანდიური თასის ფინალისტობაში. „ტვენტეს“ რომ გადამწყვეტ მატჩში „უტრეხტისთვის“ ეჯობნა, უეფას თასის საგზურს მოიპოვებდა და გახოკიძეს ეგებ არც დაეტოვებინა ენსხედელები.

ეროვნულ ნაკრებში დისკვალიფიცირებულმა ნახევარმცველმა მთელი ყურდღება კლუბში თამაშზე გადაიტანა და სტაბილურად ჩაჯდა „ტვენტეს“ ძირითადში, თუმც შემოდგომაზე გახოკიძემ ტერფის ძვალი გაიბზარა, მკურნალობაც გაეჯანჯლა და გაზაფხულზეღა ჩადგა მწყობრში, თუმც ძირითადში დაბრუნება და გოლების გატანა არ გასჭირვებია.

გახოკიძის ჰოლანდიური წარმატებები ეროვნული ნაკრების ახალ თავკაცს ალენ ჟირესსაც არ გამორჩენია და მისი მცდელობით ფედერაციამ ფიფასაც მიმართა, ეგებ სანაკრებო დისკვალიფიკაცია შეუმციროთ გახოკიძესო. ფიფაში ეს საქმე ჯერ არ გაურჩევიათ, გახოკიძე კი „ტვენტეს“ დაემშვიდობა და დღედღეზე კონტრაქტს გააფორმებს რუსულ „კრილია სოვეტოვთან“.



# EURONEWS

# ის ტოტია, მე დელ პიერო ვარ!
## ტრაპატონიმ გატუზოს ტონი დაუწუნა





*გუშინდელ „სარბიელში“ გაუწყეთ, რომ იტალიის ნაკრების მილანელმა ნახევარმცველმა, ჯენარო გატუზომ, მწვრთნელის, ჯოვანი ტრაპატონის ტაქტიკას აბსურდული უწოდა. და რა უწოდა პასუხად ტრაპატონიმ გატუზოს? ნორმალური ადამიანი, რომელსაც სათადარიგოთა სკამზე ჯდომა არ ეპიტნავება*

„გატუზოს ნათქვამს არანაირი გართულება არ მოჰყვება — ბრძანა ტრაპმა — მისი გამონათქვამები საერთოდ არ წარმოადგენს პრობლემას. ის, რომ ფეხბურთელს სათადარიგოთა სკამზე ჯდომა არ უნდა, ნორმალური ამბავია. ჩვენ დღეს ევროპის ჩემპიონის ტიტულისთვის ვიბრძვით და შემადგენლობებით თამაშის დრო არ გვაქვს. მე მწვრთნელი ვარ, რაც იმას ნიშნავს, რომ მთელ გუნდში უნდა ვაკონტროლო სიტუაცია, ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია გატუზოს კომენტარები გუნდშივე განვიხილოთ და ყველაფერი თვითონ მოვაგვაროთ. ყველაზე მაღლა თანაგუნდელების პატივისცემა უნდა დავაყენოთ“.

აქ უნდა ითქვას, რომ გატუზო, საზოგადოდ, გულღია, პირში მთქმელ, ემოციურ ახალგაზრდად არის ცნობილი. ძირითად შემადგენლობაში ადგილის ვერმოპოვებამ ფრიად დაამწუხრა „რომას“ თავდამსხმელი ანტონიო კასანოც. კასანოს ტრაპატონიმ იუვენტუსელი ალესანდრო დელ პიერო ამჯობინა.

„ამ ბიჭებისთვის ახლა მამასავით ვარ — დასძინა მწვრთნელმა — მოგეხსენებათ, ხანდახან ოჯახში ვილაც უკმაყოფილოა და ჭირვეულობს, მაგრამ ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ თქვენ მას ქუჩაში გააგდებთ? ჩემი ამოცანა სრულიად საპირისპიროა. მე ნებისმიერი დადებითი წვრილმანი უნდა შევნიშნო და გამოვიყენო, რათა გუნდში ერთსულოვნება და საბრძოლო განწყობა სუფევდეს“.

ამასობაში კი ფრანჩესკო ტოტის ზედმეტმა ქებამ ალესანდრო დელ პიერო გაალიზიანა. მოგეხსენებათ, ტოტი პირადად ტრაპატონიმ ადიდა, რომაელს იტალიური ფეხბურთის ისტორიაში უძლიერესი ფეხბურთელი უწოდა, რასაც „იუვენტუსის“ თავდამსხმელისგან ასეთი კომენტარი მოჰყვა:

„ტოტის არაფრით ჩამოვუვარდები და არც ტრაპის ნათქვამს ვანიჭებ ზედმეტ ყურადღებას. ტოტი ტოტია, მე კი დელ პიერო ვარ. ჩვენ ერთ გუნდში ვთამაშობთ და ვალდებულები ვართ, ერთმანეთი თანაბრად მიგვაჩნდეს“.

მეორე მხრივ, ფაქტია, რომ ქომაგები ტოტისგან უფრო მეტს ელიან, ვიდრე დელ პიეროსგან.

„ჩემზე ტოტის ქება-დიდება არ მოქმედებს. პირიქით, ხალხი ჩემს გაბრწყინებას რომ არ ელის, ეს შესაძლოა, ძალიანაც გამომადგეს და სიურპრიზის ეფექტი მოვახდინო“.

შემდეგ დელ პიეროს ჰკითხეს, ეთანხმება თუ არა იმ მოსაზრებას, რომ იტალიის ნაკრები ტოტისთან ერთად სულ სხვა გუნდია.

„არ ვიცი მის გარეშე როგორ ვითამაშებდით. ფრანჩესკო დიდი ფეხბურთელია და მუდამ წარმატებისთვის იბრძვის“.

მაშ ასე, ტოტი საუკეთესოა, დღეს მსოფლიოში ყველას სჯობია და მიშელ პლატინის ტოლია — ასეთია „სკუადრა აძურას“ მწვრთნელის აზრი, მაგრამ იმავე მწვრთნელის გადაწყვეტილებით, მისი 4-2-3-1 სისტემის განუყოფელი ნაწილია დელ პიეროც.



ალესანდრო დელ პიერო

„ამ განლაგებით რომც არ ვთამაშობდეთ, ჩემთვის მაინც არაფერი შეიცვლებოდა — დარწმუნებულია 29 წლის ვარსკვლავი — ჩემი კონკურენტი უფრო კასანოა, მაგრამ პრობლემას არც ამაში ვხედავ“.

სამაგიეროდ, ფრანგი ვარსკვლავი, „არსენალის“ ფორვარდი ტიერი ანრი ხედავს კასანოში ძალიან დიდ ძალას.

„ძალიან მომწონს კასანო. როდესაც მის თამაშს უყურებ, ისეთ რაღაცეებს აკეთებს, შეუძლებელია სკამიდან არ წამოხტე. ის მეტად შემოქმედებითი და გიჟია, ისეთ შთაბეჭდილებას სტოვებს, თითქოს ბიჭებთან ერთად ეზოში თამაშობდეს. მოკლედ, ვფიქრობ, რომ იტალია ფინალში გავა და ალბათ, უკვე ხვდებით, რომ ამას მათი ძლიერი დაცვა არ მალაპარაკებს, კასანოს გარდა ცხადია, ფრანჩესკო ტოტის დაუსახელებ. [illegible] და ზინედინ ზიდანზე თუ მკითხავთ, ფენომენალურები არიან, თუმცა სიურპრიზს მაინც კასანოსგან ველი“.

ძალიან სახელოვანი ფრანგი კოლეგის აზრს იზიარებს ჯერ მაინც ნაკლებად აღიარებული ესპანელი ამომავალი ვარსკვლავი, „ატლეტიკოს“ ფორვარდი ფერნანდო ტორესი:

„ჩვენთვის, ესპანელებისთვის ევროპის ჩემპიონობა ძნელი იქნება, რადგან პორტუგალიაში უფრო ძლიერი გუნდებიც ითამაშებენ. ყველაზე ძლიერი იტალიის ნაკრებია, რომელსაც ყველაზე ახლოს საფრანგეთი მოსდევს. „სკუადრა აძურას“ სრულყოფილი შემადგენლობა ჰყავს და ამ გუნდის ჯობნა ძალიან ძნელი იქნება“.

ბოლოს ისევ კასანოზე, უფრო სწორად კი, ჰყავს „სკუადრა აძურას“ სრულყოფილი შემადგენლობა თუ არა, ის ჯერ უტიტულოდაა, აი, 21-წლამდელი იტალიელები, სხვა სიტყვებით „აძურინი“ კი ევროპის ჩემპიონები გახლავან და მათი მწვრთნელი, კლაუდიო ჯენტილე წელგამართული და ამაყი გამოთქვამს მოსაზრებებს.

„ანტონიოს (კასანოზეა ლაპარაკი) ჩვენს გუნდში იმიტომ არ უთამაშია, რომ დიდ ნაკრებში იწვევდნენ, მაგრამ მე მისთვის კარი არასდროს მიმიხურავს“ — ამბობს ადამიანი, რომელმაც გუნდს ათენში, ოლიმპიურ თამაშებზე გამოსვლის უფლება მოაპოვებინა და ახლა ამ დიდ შეჯიბრებაზე ფიქრობს. ერთი სიტყვით, ევროპის ჩემპიონატის შემდეგ, თუ „რომა“ არ გაგიჟდება, კასანომ თავი შესაძლოა საბერძნეთის დედაქალაქში ამოჰყოს, სადაც „აძურინის“ მეტოქეები იქნებიან იაპონია, განა და პარაგვაი.

**ბაჰუნა ძიდია**

# ფრანგს საფრანგეთის სჯერა
## ანრის წმინდანები და შეშლილი კასანო

*საფრანგეთის ნაკრებს ბევრი ევროპის ჩემპიონობას უწინასწარმეტყველებს და არცთუ უსაფუძვლოდ — ფრანგებს მართლაც ბრწყინვალე გუნდი ჰყავთ. „ლურჯთა“ თავდამსხმელ ტიერი ანრისაც ეს აძლევს წარმატების იმედს, რაშიც ესპანურ „ასთან“ მისი ინტერვიუს წაკითხვისას დარწმუნდებით*

— კვირას ინგლისის ნაკრებთან რთული შეხვედრა გელით. თქვენს ალბიონელ ნაცნობებს მატჩის წინ არ დაუკავშირდებით?

— არა მგონია. მე იმათ რიცხვს არ მივეკუთვნები,




ვინც თამაშის წინ მსგავსი ხუმრობებით ერთობა.

— საფრანგეთი ტურნირის ფავორიტია?

— ჩვენს ნაკრებს ჟურნალისტთა და თაყვანისმცემელთა ყველაზე დიდი არმია დაჰყვება. ესე იგი, მათ ფავორიტად მივაჩნივართ. ჩემპიონატის მოსაგებად იტალიასაც კარგი შანსი აქვს — როგორც ყოველთვის.

— გერმანიაზე რას იტყვით?

— ალბათ ჯგუფიდან გავა, მეტს ვერაფერს ვიტყვი.

— ესპანეთი?

— მედია ყოველი ტურნირის დაწყებამდე აქებს ესპანეთს, მაგრამ შეჯიბრის მსვლელობისას, როგორც წესი, რაღაც ემართება. ესპანეთის მთავარი იარაღი რაული იქნება ვალენსიელ ვისენტესთან ერთად.

— რომელი ევროპელი ფეხბურთელი მოგწონთ?

— ანტონიო კასანო. ფეხბურთით შეშლილს მაგონებს...

— ტოტიზე რაღას იტყვით?

— ტოტი ზიდანივითაა. ჩემთვის ორივე წმინდანივითაა, ამიტომ მათზე საუბარს აღარ გავაგრძელებ.

— ბედის თუ გჯერათ?

— რატომაც არა. ძალიან ცუდი იქნება, იღბალმა ზურგი რომ გვაქციოს. სხვანაირად კი მერწმუნეთ, საფრანგეთის პირველობა არ ასცდება...



## მსაჯები ევრო 2004-ზე

**A ჯგუფი**

| | |
|---|---|
| პორტუგალია — საბერძნეთი | პიერლუიჯი კოლინა (იტალია) |
| ესპანეთი — რუსეთი | ურს მაიერი (შვეიცარია) |
| საბერძნეთი — ესპანეთი | ლუბოშ მიხელი (სლოვაკეთი) |
| რუსეთი — პორტუგალია | ტერიე ჰაუგე (ნორვეგია) |

**B ჯგუფი**

| | |
|---|---|
| შვეიცარია — ხორვატია | ლუსილიუ ბატისტა (პორტუგალია) |
| საფრანგეთი — ინგლისი | მარკუს მერკი (გერმანია) |
| ინგლისი — შვეიცარია | ვალენტინ ივანოვი (რუსეთი) |
| ხორვატია — საფრანგეთი | კიმ-მილტონ ნილსენი (დანია) |

**C ჯგუფი**

| | |
|---|---|
| დანია — იტალია | მანუელ მეხუტო გონსალესი (ესპანეთი) |
| შვედეთი — ბულგარეთი | მაიკ რაილი (ინგლისი) |

**D ჯგუფი**

| | |
|---|---|
| ჩეხეთი — ლატვია | ჟილ ვესიე (საფრანგეთი) |
| გერმანია — ჰოლანდია | ანდერს ფრისკი (შვედეთი) |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ევრო 2004-ის ავანჩავანი



ყველაზე სტაჟიანი სტეფან შაპუიზაა



პატრიკ კლუივერტი 40 გოლით ბომბარდირებში პირველობს



უხუცესი იორგ შტილი





ყველაზე დაბალი ედგარ დავიდსია, ყველაზე მაღალი კი იან კოლერი

## ბომბარდირები

| ფეხბურთელი | ამპლუა | ქვეყანა | თამაში | გოლი |
|---|---|---|---|---|
| პატრიკ კლუივერტი | თავდამსხმელი | ჰოლანდია | 78 | 40 |
| რაულ გონსალესი | თავდამსხმელი | ესპანეთი | 71 | 38 |
| ლუიშ ფიგუ | ნახევარმცველი | პორტუგალია | 103 | 31 |
| პედრუ პაულეტა | თავდამსხმელი | პორტუგალია | 56 | 29 |
| იონ დალ ტომასონი | თავდამსხმელი | დანია | 59 | 28 |
| დავიდ ტრეზეგე | თავდამსხმელი | საფრანგეთი | 51 | 28 |
| იან კოლერი | თავდამსხმელი | ჩეხეთი | 50 | 27 |
| ტიერი ანრი | თავდამსხმელი | საფრანგეთი | 58 | 25 |
| მაიკლ ოუენი | თავდამსხმელი | ინგლისი | 55 | 25 |
| მანუელ რუი კოშტა | ნახევარმცველი | პორტუგალია | 89 | 24 |
| ჰენრიკ ლარსონი | თავდამსხმელი | შვედეთი | 73 | 24 |
| ვლადიმირ შმიცერი | ნახევარმცველი | ჩეხეთი | 67 | 24 |

## ყველაზე მეტი მატჩი

| ფეხბურთელი | ამპლუა | ქვეყანა | თამაში | გოლი |
|---|---|---|---|---|
| მარსელ დესაი | მცველი | საფრანგეთი | 115 | 3 |
| ფრანკ დე ბური | მცველი | ჰოლანდია | 110 | 13 |
| ფერნანდუ კოუტუ | მცველი | პორტუგალია | 106 | 7 |
| ლუიშ ფიგუ | ნახევარმცველი | პორტუგალია | 103 | 31 |
| ვიტალის ასტაფიევსი | ნახევარმცველი | ლატვია | 101 | 10 |
| სტეფან შაპუიზა | თავდამსხმელი | შვეიცარია | 100 | 21 |
| ლილიან ტურამი | მცველი | საფრანგეთი | 98 | 2 |
| კარელ პობორსკი | ნახევარმცველი | ჩეხეთი | 93 | 7 |
| ბიქსენტ ლიზარაზუ | მცველი | საფრანგეთი | 93 | 2 |
| მიხაილს ზემლინსკისი | მცველი | ლატვია | 92 | 8 |

## დებიუტანტები

| ფეხბურთელი | ამპლუა | ქვეყანა |
|---|---|---|
| ვალერი ბოჟინოვი | თავდამსხმელი | ბულგარეთი |
| ბასტიან შვაინსტაიგერი | ნახევარმცველი | გერმანია |
| ლუკაშ პოდოლსკი | თავდამსხმელი | გერმანია |
| ჟოზე მორეირა | მეკარე | პორტუგალია |
| დანიელ არანსუბია | მეკარე | ესპანეთი |
| იოჰან ვონლანტენი | თავდამსხმელი | შვეიცარია |

## სტაჟიანები

| ფეხბურთელი | ამპლუა | ქვეყანა | თამაში | გოლი | კარ.დას |
|---|---|---|---|---|---|
| სტეფან შაპუიზა | თავდამსხმელი | შვეიცარია | 100 | 21 | 21.06.89 |
| ფრანკ დე ბური | მცველი | ჰოლანდია | 110 | 13 | 26.09.90 |
| ალექსანდრ მოსტოვოი | ნახევარმცველი | რუსეთი | 64 | 13 | 03.11.90 |
| ფერნანდუ კოუტუ | მცველი | პორტუგალია | 106 | 7 | 19.12.90 |
| ლუიშ ფიგუ | ნახევარმცველი | პორტუგალია | 103 | 31 | 12.10.91 |
| მიხაილს ზემლინსკისი | მცველი | ლატვია | 92 | 8 | 08.04.92 |
| კრისტიან ვიორნსი | მცველი | გერმანია | 55 | 0 | 22.04.92 |
| ვიტალის ასტაფიევსი | ნახევარმცველი | ლატვია | 101 | 10 | 26.08.92 |
| ბიქსენტ ლიზარაზუ | მცველი | საფრანგეთი | 93 | 12 | 14.11.92 |
| სტეფან ანშო | მცველი | შვეიცარია | 65 | 0 | 23.01.93 |

## უხუცესები

| ფეხბურთელი | ამპლუა | ქვეყანა | თამაში | გოლი | ასაკი |
|---|---|---|---|---|---|
| იორგ შტილი | მეკარე | შვეიცარია | 18 | 0 | 36 |
| ალექსანდრ მოსტოვოი | ნახევარმცველი | რუსეთი | 64 | 13 | 35 |
| მარსელ დესაი | მცველი | საფრანგეთი | 115 | 3 | 35 |
| სანტიაგო კანისარესი | მეკარე | ესპანეთი | 42 | 0 | 35 |
| ოლივერ კანი | მეკარე | გერმანია | 68 | 0 | 34 |
| სტეფან შაპუიზა | თავდამსხმელი | შვეიცარია | 100 | 21 | 34 |
| ფერნანდუ კოუტუ | მცველი | პორტუგალია | 106 | 7 | 34 |
| რენე ჰენრიკსენი | მცველი | დანია | 61 | 0 | 34 |
| იენს ლემანი | მეკარე | გერმანია | 18 | 0 | 34 |
| პიერ ვან ჰოიდონკი | თავდამსხმელი | ჰოლანდია | 39 | 12 | 34 |

## ახალგაზრდები

| ფეხბურთელი | ამპლუა | ქვეყანა | თამაში | გოლი | ასაკი |
|---|---|---|---|---|---|
| იგორ აკინფეევი | მეკარე | რუსეთი | 1 | 0 | 18 |
| ვალერი ბოჟინოვი | თავდამსხმელი | ბულგარეთი | 0 | 0 | 18 |
| იოჰან ვონლანტენი | თავდამსხმელი | შვეიცარია | 0 | 0 | 18 |
| უიენ რუნი | თავდამსხმელი | ინგლისი | 12 | 3 | 18 |
| ლუკაშ პოდოლსკი | თავდამსხმელი | გერმანია | 0 | 0 | 19 |
| კრისტიანო რონალდო | თავდამსხმელი | პორტუგალია | 6 | 0 | 19 |
| ბასტიან შვაინსტაიგერი | ნახევარმცველი | გერმანია | 0 | 0 | 19 |
| უესლი სნეიდერი | ნახევარმცველი | ჰოლანდია | 8 | 2 | 20 |
| ფერნანდო ტორესი | თავდამსხმელი | ესპანეთი | 5 | 1 | 20 |
| ვლადიმირ ბისტროვი | ნახევარმცველი | რუსეთი | 2 | 0 | 20 |

## ყველაზე მაღალი

| ფეხბურთელი | ამპლუა | ქვეყანა | სიმაღლე | წონა |
|---|---|---|---|---|
| იან კოლერი | თავდამსხმელი | ჩეხეთი | 202 სმ | 100 კგ |

## ყველაზე დაბალი

| ფეხბურთელი | ამპლუა | ქვეყანა | სიმაღლე | წონა |
|---|---|---|---|---|
| ედგარ დავიდსი | ნახევარმცველი | ჰოლანდია | 168 სმ | 69 კგ |

## ვინ რამდენი

| კლუბი | რაოდენობა |
|---|---|
| ბაიერნი | 9 |
| ბარსელონა | 9 |
| იუვენტუსი | 9 |
| მილანი | 8 |
| არსენალი | 8 |
| ბენფიკა | 8 |
| ჩელსი | 8 |
| ინტერი | 8 |
| ლივერპული | 8 |
| მანჩესტერ იუნაიტედი | 8 |

## ლიგური წილი

| ჩემპიონატი | რაოდენობა |
|---|---|
| ინგლისის პრემიერლიგა | 57 |
| გერმანიის ბუნდესლიგა | 50 |
| იტალიის სერია A | 46 |
| ესპანეთის პრიმერადივიზიონი | 36 |
| რუსეთის პრემიერლიგა | 26 |
| საფრანგეთის I დივიზიონი | 21 |
| პორტუგალიის I დივიზიონი | 20 |
| საბერძნეთის ეროვნული ლიგა | 17 |
| ჰოლანდიის I დივიზიონი | 16 |
| ბულგარეთის I დივიზიონი | 12 |



ასაკის მიუხედავად უეინ რუნი პორტუგალიაშია

# ევრო-2004. D ჯგუფი: ჰოლანდია, ჩეხეთი, გერმანია, ლატვია

# ბალტიისპირული ევროპისთვის

ვაჟა ხუციშვილი

**განრიგი**

**15 ივნისი**
ავეირუ. „მუნისიპალი". 21.00
ჩეხეთი – ლატვია

**19 ივნისი**
პორტუ. „ბესა". 21.00
ლატვია – გერმანია

**23 ივნისი**
ბრაგა. „მუნისიპალი". 23.45
ჰოლანდია – ლატვია

ყველაზე ოპტიმისტი ლატვიელი ქომაგიც კი ვერ ივარაუდებდა, რომ მისი ქვეყნის ნაკრები ევრო 2004-ზე მოხვდებოდა.

ლატვიაში ფეხბურთი სპორტის ნომერ პირველ სახეობად არასოდეს ითვლებოდა, მაგრამ ახლა შეიძლება ვითარება საპირისპიროდ შეიცვალოს.

ბალტიისპირეთის პატარა სახელმწიფოს მოსახლეობა ორნახევარ მილიონს აღწევს, უმრავლესობა კალათბურთს ან ზამთრის სპორტის სახეობებს ეტრფის.

ლატვიამ ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლი 2002 წლის 7 სექტემბერს შინ შვედებთან უგოლო ფრით დაიწყო, შემდეგ სტუმრად პოლონეთს და სან მარინოს სძლია და მოქუჩებულმა შვიდმა ქულამ ლატვიელებს მადა გაუხსნა.

2003-ში ბალტიისპირელებმა სან მარინოს მეორედაც აჯობეს, რასაც ბუდაპეშტში უნგრეთთან მარცხი მოჰყვა. იმავე წლის შემოდგომაზე შინ პოლონეთთან მატჩი დათმეს და შანსიც თითქოს აღარ ჰქონდათ, მაგრამ ოთხი დღის შემდეგ რიგაში უნგრელები დააჩოქეს, ბოლოს კი ყველაფერი მათ სასარგებლოდ აეწყო. პირველ ადგილზე გასულ უმოტივაციო შვედებს ესტუმრნენ და პლეი ოფში მხოლოდ გამარჯვების შემთხვევაში გადიოდნენ. სკანდინავიელები მარის ვერპაკოვსკისის გოლით დაამარცხეს და მდევარი პოლონელებისგან მიუწვდომელნი აღმოჩნდნენ.



პლეი ოფში გასვლა სასიხარულო ამბავი კი იყო, თუმც წილისყრამ მეტოქედ მსოფლიოს ბრინჯაოსანი თურქეთი რომ არგუნათ, ეიფორია ჩაცხრა.

თავდაჯერებული ოსმალო ნოემბრის სუსხიან რიგას ეწვია. შენოლ გიუნეშმა მოედნის უხარისხობის გამო იწუწუნა და 0:1 წააგო.

სტამბოლში ჩასულ ლატვიელებს ჩვეულებრივი, იქაური „ჯოჯოხეთი" დაახვედრეს. თურქები 2:0-ს იგებდნენ და უკვე პორტუგალია ელანდებოდათ, მაგრამ სტუმართა ორმა გოლმა ევრო 2004-ის საგზური ალექსანდრს სტარკოვსის გუნდს არგუნა. ეს სასწაული იყო. უცნაურია, რომ სამშობლოში დაბრუნებულ ტრიუმფატორებს იმაზე ოდნავ მეტი ხალხი შეეგება აეროპორტში, დაშხოშიან ქართულ ქორწილში რომ შეიყრება.

ლატვიელებს საპორტუგალიო წილისყრამ ჯგუფში ევროპის სამი ყოფილი ჩემპიონი ჩაუსვა. სტარკოვსის ნაკრებს მორიგ სასწაულს ანუ მეოთხედფინალში გასვლას არავინ სთხოვს. ამიტომ შეუძლიათ, უფრო თავისუფლად და ლაღად ითამაშონ ევრობობოლებთან. ერთ მატჩსაც თუ მოიგებენ, თავისთავად წარმატებაა. მარცხის შემთხვევაში კი გამკიცხავი ნაღდად არ ეყოლება.

„ჩვენ ფავორიტობაზე პრეტენზია არ გვაქვს — განაცხადა მწვრთნელმა — თუმც სამივე მატჩში საუკეთესო თვისებების გამომჟღავნებას შევეცდებით."

## გზა პორტუგალიამდე

### IV შესარჩევი ჯგუფი

07.09.2002 ------------------- ლატვია 0:0 შვედეთი
12.10.2002 ------------------ პოლონეთი 0:1 ლატვია
20.11.2002 ------------------ სან მარინო 0:1 ლატვია
30.04.2003 ------------------ ლატვია 3:0 სან მარინო
07.06.2003 ------------------- უნგრეთი 3:1 ლატვია
06.09.2003 ------------------ ლატვია 0:2 პოლონეთი
10.09.2003 ------------------- ლატვია 3:1 უნგრეთი
11.10.2003 ------------------- შვედეთი 0:1 ლატვია

### საბოლოო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შვედეთი | 8 | 5 | 2 | 1 | 19:3 | 17 |
| ლატვია | 8 | 5 | 1 | 2 | 10:6 | 16 |
| პოლონეთი | 8 | 4 | 1 | 3 | 11:7 | 13 |
| უნგრეთი | 8 | 3 | 2 | 3 | 15:9 | 11 |
| სან მარინო | 8 | 0 | 0 | 8 | 0:30 | 0 |

### პლეი ოფი

15.11.2003 ------------------- ლატვია 1:0 თურქეთი
19.11.2003 ------------------- თურქეთი 2:2 ლატვია



### მეკარეები

1 ალექსანდრს კოლინკო - როსტოვი, რუსეთი
12 ანდრეის პიედელსი --- სკონტო, რიგა
20 ანდრეის პავლოვსი --- სკონტო, რიგა



### მცველები

2 იგორს სტეპანოვსი --- ბევერენი, ბელგია
4 მიხაილს ზემლინსკისი სკონტო, რიგა
6 ოლეგს ბლაგონადეჟდინსი სკონტო, რიგა
7 ალექსანდრს ისაკოვსი სკონტო, რიგა
15 მარის სმირნოვსი ------------------ ვენტსპილსი, რიგა
16 ძინტარს ზირნისი ------------------ მეტალურგსი, ლიეპაია
18 იგორს კორაბლიოვსი ---------------- ვენტსპილსი, რიგა
22 არტურს ზაკრეშევსკისი ------------- სკონტო, რიგა



### ნახევარმცველები

3 ვიტალის ასტაფიევსი ადმირა, ავსტრია
5 იურის ლაიზანსი ------ ცსკა, რუსეთი
8 იმანტს ბლეიდელისი - ვიბორგი, დანია
10 ანდრეის რუბინსი --- შინიკი, რუსეთი
11 ანდრეის პროხორენკოვსი ----------- მ. თელ ავივი, ისრაელი
13 იურგის პუჩინსკსი ------------------ ლუჩ-ენერგია, რუსეთი
14 ვალენტინს ლობანიოვსი ------------ მ. ზაპოროჟიე, უკრაინა



### თავდამსხმელები

9 მარის ვერპაკოვსკისი დინამო, უკრაინა
17 მარიანს პახარსი ----- საუთჰემპტონი, ინგლისი
19 ანდრეის შტოლცერსი ფულემი, ინგლისი
21 მიხაილს მიხოლაპსი - სკონტო, რიგა
23 ვიტალის რიმკუსი ------------------ ვენტსპილსი, რიგა

მწვრთნელი: ალექსანდრს სტარკოვსი

# მწვრთნელის სქემაზე გამოჭრილი

**მარის ვერპაკოვსკისი** ეროვნული გმირი გახდა, სწორედ მისი გოლების წყალობით გააღწია ლატვიამ ევროჩემპიონატზე.

მარიანს პახარსის ტრავმამ ვერპაკოვსკის შანსი მისცა და 24 წლის ფორვარდმა ბედის საჩუქარი შესანიშნავად გამოიყენა.

შესარჩევი ციკლის ბოლო ორ ტურში შინ უნგრელებს წყვილი, სტუმრად შვედებს კი გამარჯვებისა გაუტანა.

შემდეგ პლეი ოფში ყოჩაღობის ჯერი დადგა. თურქები რიგაში დაამწუხრა, საპასუხო მატჩში კი სტამბოლში 2:1-ზე გაათანაბრა. ამიტომაც გაჰკიოდნენ ლატვიაში მის სახელს, როცა ნაკრები თურქეთიდან სამშობლოში ტრიუმფით დაბრუნდა.

გერმანიას, ჰოლანდიასა და ჩეხეთს ფორვარდი არ უფრთხის: „ძალიან მძიმე სამი თამაში გველის, მაგრამ ვიმედოვნებ, რომ იღბალი კვლავაც ჩემთან იქნება".

ვერპაკოვსკისის ყაიდის თავდამსხმელი სტარკოვსის სქემაზე ზედგამოჭრილია — სისწრაფე, ბურთის ფლობა და საგოლე ალღო არ დაეწუნება.

ლიეპაიში დაბადებულმა კარიერა „მეტალურგსში" დაიწყო, რომლის შემადგენლობაშიც 1999 წელს ვერცხლი, მომდევნო სეზონში კი ბრინჯაო მოიგო. „მეტალურგსიდან" „სკონტოში" გადავიდა და ქვეყნის ყველაზე წარმატებულ გუნდში სამჯერ გახდა ჩემპიონი, ხოლო ორჯერ თასი აღმართა.

მისთვის შარშანდელი, 2003 წლის სეზონი მეტად „უხვმოსავლიანი" გამოდგა — 25 მატჩში 22 გოლი შეაგდო და ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარეს.

მარის ვერპაკოვსკისს ყველა ასაკის ნაკრებში უთამაშია, ეროვნულ გუნდში მისი ნათლობა კი ევრო 2000-ის შესარჩევ მატჩში საბერძნეთთან შედგა, შეცვლაზე შესულმა ბერძნებს გაუტანა.

2002 წლის მუნდიალის შესარჩევ ციკლშიც ნაკრების წევრი იყო, მაგრამ ძირითადად სათადარიგოთა სკამზე იჯდა.

მისი საამსეზონო გაბრწყინება ევროპელებს არ გამოჰპარვიათ. ბერძნული „ოლიმპიაკოსი" და ლონდონის „არსენალი" იყვნენ დაინტერესებულნი ლატვიელი ფორვარდით, მაგრამ ფეხბურთელმა მეზობელი უკრაინა არჩია — გასულ ზამთარში კიევის „დინამოსთან" 5-წლიანი კონტრაქტი გააფორმა. „მომწონს კიევი, მშვენიერი ქალაქია, „დინამოშიც" თავს კომფორტულად ვგრძნობ" — თქვა მეგოლემ.



მარის ვერპაკოვსკისი თურქეთს პორტუგალიაში გაექცა

# ევრო-2004. D ჯგუფი: ჰოლანდია, ჩეხეთი, გერმანია, ლატვია

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მწვრთნელი

## სტარკოვსმა ლატვიას ფეხბურთი ასწავლა

*ჩვენს ჯგუფში ნებისმიერ გუნდს აქვს სუსტი წერტილი. შევეცდებით, ჩემპიონატი უგოლოდ არ დავტოვოთ — განაცხადა ალექსანდრს სტარკოვსმა და მეტოქეებს მიანიშნა, რომ მათ ავანჩავანს გულდასმით სწავლობს*

წარსულში თავად ფეხბურთელი 20 წლისა რიგის „დაუგავაში" გადაიყვანეს. კომუნისტთა ეპოქაში ეს გუნდი ლატვიური ფეხბურთის სახე იყო.

1977-ში „დაუგავამ" საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის საგზური მოიპოვა, ხოლო სტარკოვსი 26 გოლით პირველი ლიგის საუკეთესო ბომბარდირი გახდა.

იმავე წელს იგი მოსკოვის „დინამომ" მიიწვია, მაგრამ ძირითად შემადგენლობაში იშვიათად ათამაშებდნენ და რიგაში დაბრუნდა.

„დაუგავას" მაისურით 300 მატჩი ითამაშა და საბჭოეთის ჩემპიონატში 100 გოლის გამტანი პირველი ლატვიელი შეიქნა.

ფეხბურთელის კარიერის დასრულების შემდეგ მოსკოვში მწვრთნელთა უმაღლეს სკოლაში გააგრძელა სწავლა, 1990-ში კი „დაუგავაში" იანის სკრედელისის თანაშემწედ მუშაობა დაიწყო.

1992-ში „სკონტო" ჩაიბარა და მის ხელქვეით გუნდმა ჩემპიონატი 11-ჯერ მოიგო.

ეროვნული ნაკრების მწვრთნელთა შტაბში 1998 წელს რევაზ ძოძუაშვილის თანაშემწეობა გასწია. ძოძუაშვილი ინგლისელმა გარი ჯონსონმა შეცვალა, სტარკოვსი კი კვლავ მეორე კაცად დარჩა.

2001 წლის 30 აპრილს მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში ლატვიამ შინ სან მარინოს ვერ მოუგო და ჯონსონი წავიდა. იმავე წლის 10 მაისს გუნდი ალექსანდრს სტარკოვსს გადააბარეს, რომელმაც თავისი პირველივე ტურნირი, „ბალტიის თასი" მოიგო, თუმც 2002 წლის მუნდიალზე ნაკრები ვერ გაიყვანა.

ლატვიელთა თავკაცი 4-5-1 სქემას ანიჭებდა უპირატესობას. ერთ გამოკვეთილ თავდამსხმელს ჯანლონიერი, მებრძოლი და სწრაფი ნახევარმცველები ეხმარებიან, მაგრამ მთავარი სულ სხვაა: „ნებისმიერი მატჩის წინ ფეხბურთელებს ქვეყნის და საკუთარი ღირსების დაცვაზე ამაღელვებლად ვესაუბრები. მათ უნდა იგრძნონ პასუხისმგებლობა და მოედანზე ბოლომდე დაიხარჯონ" — ამბობს სტარკოვსი.





## ლატვიის კაპიტანი ასიანია

*ვიტალის ასტაფიევსმა 100 სანაკრებო მატჩი დააგროვა და ლატვიელთა კაპიტნისთვის პირველი უმაღლესი დონის შეჯიბრი ორმაგად საზეიმო იქნება*

„ესაა ახდენილი ოცნება — თქვა ავსტრიული „ადმირა ვაკერის" 33 წლის ნახევარმცველმა, როცა მისი ქვეყნის ნაკრებმა პორტუგალიის საგზური მოიპოვა — ყველაფერს ვილონებთ, რათა ღირსეულად წარმოვაჩინოთ ჩვენი ფეხბურთი, თუმც ვიცი — ჯგუფიდან გასვლის უმცირესი შანსი გვაქვს." გამოცდილმა ნახევარმცველმა შესარჩევ ციკლში დიდი შრომა გასწია და მისი გამოზომილი პასებით ფორვარდებმა არაერთი გოლი გაიტანეს.

ვიტალის ასტაფიევსი „დაუგავას" საფეხბურთო სკოლის აღზრდილა. 1990-ში იგი „პარდაუგავაში" გადავიდა და ორ სეზონში გუნდთან ერთად ვერცხლის მედალი ჩაიხუტა.

ამის შემდეგ, როგორც ქვეყანაში ყველა გამორჩეული, რიგის „სკონტოში" აღმოჩნდა.

„სკონტოს" შემადგენლობაში ხუთჯერ ზედიზედ ჩემპიონი გახდა და ორჯერ თასი მოიგო. გარდა ამისა, სამჯერ (1995,1996,1999) საუკეთესო ფეხბურთელად აღიარეს.

1996 წელს ვენის „აუსტრიაში" გადაბარგდა, მაგრამ ფეხი ვერ მოიკიდა და მალე ისევ „სკონტოს" მიაშურა. დაბრუნებულმა კიდევ სამჯერ ჩამოიკიდა ოქროს მედალი და ერთხელ თასიც მოიგო.

2000 წელს ასტაფიევსი ინგლისის მეორე დივიზიონის კლუბ „ბრისტოლ როვერსმა" წაიყვანა. ოთხი სეზონი გაატარა ბრიტანეთში და 109 მატჩში კი 16 გოლი გაიტანა.

2003-ში ინგლისიდან კვლავ ავსტრიაში ჩავიდა და „ადმირა ვაკერთან" კონტრაქტი გააფორმა.

მისი სანაკრებო დებიუტი 1992 წლის 26 აგვისტოს შედგა. მსოფლის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში ლატვიამ დანიას უმასპინძლა და შეხვედრა უგოლოდ დაასრულდა. იმ დღიდან მოყოლებული, ეროვნული გუნდის მთავარი მოთამაშე გახდა და ლიდერად იქცა.

„მომავალზე ჯერ არ ვფიქრობ. შესაძლოა, ავსტრიიდან ისევ სამშობლოში დავბრუნდე" — თქვა ნაკრების კაპიტანმა.

## ტანჯულას დაბრუნება

**ტრავმით** გატანჯული მარიანს პახარსი საბოლოოდ გამოკეთდა და პორტუგალიაში ჯანმრთელი გაემგზავრა.

„ევროპის ჩემპიონატზე მოხვედრამ ჩვენი ხალხი ისევე გაახარა, როგორც ბრაზილიელები ხარობენ მსოფლიოს ჩემპიონობით" — თქვა ფორვარდმა.

მარიანს პახარსი ყველაზე ძვირადღირებული ლატვიელი ფეხბურთელია — 1999 წელს რიგის „სკონტოდან" პრემიერლიგის „საუთჰემპტონში" 800 ათასი გირვანქის სანაცვლოდ გაუშვეს.

მთლიანობაში ტრავმის გამო წელიწადი და 13 დღე გაუცდა, სამი ოპერაცია გადაიტანა და შარშან ინგლისის ასოციაციის თასის ფინალი გამოტოვა. შემოდგომაზე უეფას თასის მატჩებშიც ვერ დაეხმარა გუნდს და, ცხადია, ნაკრებსაც ძალიან დააკლდა. 2003 წლის ბოლოს კი მოლონიერდა და „საუთჰემპტონის" ძირითად შემადგენლობაშიც გამოჩნდა.

„ძალიან მიხარია, რომ საპორტუგალიოდ 100 პროცენტით მზად ვარ. თურქებთან გამარჯვების შემდეგ ვიფიქრე, ეგებ სხვა დროს ასეთი შანსი აღარც მქონდეს-მეთქი. ფეხმტკივანს ხომ ევროპის ჩემპიონატზე არ წამიყვანდნენ. ძალიან ძლიერი მეტოქეები გვყავს ჯგუფში, მაგრამ ჩვენ საკუთარი სიამოვნებისთვის ვითამაშებთ" — განაცხადა პახარსმა.

ლატვიის ჩემპიონატში სპეციალისტთა ყურადღება 1994 წელს მიიპყრო. მაშინ „პარდაუგავაში" თამაშობდა. შემდეგ „სკონტო მეტალში" გადავიდა, მოგვიანებით კი „სკონტოში", სადაც ოთხ სეზონში გამართულ 85 მატჩში 44 გოლი მიითვალა. იგი დამოუკიდებელი ლატვიის ეროვნული გუნდის საუკეთესო ბომბარდირია.

პირველად 18-წლამდელებში მიიწვიეს, მერე — ახალგაზრდებში, ხოლო მთავარ ნაკრებში მისი დებიუტი 1996 წლის 12 მარტს კვიპროსთან ამხანაგურ მატჩში შედგა.





სიახლე საქართველოში!

საუკეთესო ხარისხის სპორტული ფორმის (ტრუსები, მაისურები) დამზადება გნებავთ, თქვენი სურვილისამებრ, გნებავთ თქვენს მიერ კატალოგში შერჩეული ესკიზით





ნომრები სპორტულ მაისურებზე, წარწერები...

სპორტული ატრიბუტიკა: დროშები, ვიმპელები...

საცალო და საბითუმო ფასებში

სარო-არტპრინტი

ვაჟა ფშაველას 91

53-76-82 899 56-18-49

ეროვნული ბიბლიოთეკა



# პრესა ხმაურობს, ვიერი დუმს

## ინტერს კარვალიუ ექვირა

*„ინტერის“ სატრანსფერო საქმეთა შეფმა, მარკო ბრანკამ განაცხადა, რომ მათთან ოფისში, კრისტიან ვიერის შეძენის თაობაზე ოფიციალური წერილი ჯერ არ მისულა. არადა, „სკუდრა აძურას“ ვარსკვლავის გამო პრესაში დიდი ამბავია ატეხილი. წერენ, რომ ვიერის შესაძენად „იუვენტუსი“ და მადრიდის „რეალი“ აქტიურობენ*

„ამწუთას ერთადერთი, რაც შეგვიძლია გავაკეთოთ, ლოდინია — თქვა ბრანკამ — მომავალში კი ვნახოთ, რა მოხდება. დღეს ევროპული ფეხბურთი ძალიან ძნელ პერიოდს გადის, კლუბებს უზარმაზარი თანხების გადახდა აღარ შეუძლიათ. ერთი სიტყვით, ჩვენ დასამალი არაფერი გვაქვს და როგორც კი „იუვენტუსისგან“ ან ნებისმიერი სხვა გუნდისგან წინადადებას მივიღებთ, საზოგადოებას ვაცნობებთ“.

შეგახსენებთ, რომ იტალიაში გავრცელებული ცნობების თანახმად, ტურინელები ვიერის სანაცვლოდ მარკო დი ვაიოს და ფულს გამოდიან, ხოლო მადრიდელები 9 მილიონ ევროს აჩხრიალებენ.

გარდა ვიერის ამბისა, „ინტერის“ სატრანსფერო საქმეთა შეფმა ბარსელონელ ედგარ დავიდსა და სხვა ფეხბურთელებთან დაკავშირებულ ჭორებზეც ილაპარაკა.

„მასიმო მორატიმ და ჯაჩინტო ფაკეტიმ მკაფიოდ განაცხადეს, რომ დავიდსის საქმეს განვითარება არ ელის, ხოლო „პორტუს“ მცველი რიკარდო კარვალიუ ძალიან ძვირია. ფეხბურთელს რომ ყიდულობ, მარტო სატრანსფერო თანხას ხომ არ უნდა დააკვირდე, ხელფასიც ხომ მნიშვნელოვანია“.

და ბოლოს, მარკო ბრანკამ განაცხადა, რომ ცნობა, თითქოს „ინტერი“ და „იუვენტუსი“ მარკო მატერაცის და მარკ იულიანოს ცვლიან, სრული ტყუილიაო.

**პაპუნა ძედია**

# ანჩელოტის სიტყვა გაექცა

## გალიანიმ რონალდინიოს ჩაცმულობაზე იზრუნა

*კარლო ანჩელოტიმ განაცხადა, რომ „მილანში“ უმალ ფრანჩესკო ტოტის ისურვებდა, ვიდრე რონალდინიოს. რას ნიშნავს ეს განცხადება? ეს გახლავთ გამოხმაურება საკუთარი ვიცე-პრეზიდენტის, ადრიანო გალიანის განცხადებაზე, ნეტავ შავ-წითელი მაისურა ბარსელონელი ბრაზილიელისთვის ჩამაცმევინაო.*



„ამ ორიდან ტოტი მირჩევნია — განაცხადა ანჩელოტიმ — თუმცა ისე ნუ გაიგებთ, რომ ან ერთის ან მეორის შესაძენად „მილანი“ რაიმე ნაბიჯებს დგამს“.

მაშ ასე, ჭორები იმის თაობაზე, რომ „მილანი“ ტოტიზე ნადირობს, როგორც ჩანს, მთლად კორექტული არ არის, თუმცა ტოტისა და რონალდინიოზე საუბარში მწვრთნელს რაღაც-რაღაცეები წამოსცდა.

„ამ დღეებში ჩვენ უკვე დავიმატეთ ფეხბურთელები, რომლებიც თავდასხმას გაგვიძლიერებენ. მოგვწონს გაქირავებული კუტუზოვიც, მან ხომ „აველინოს“ შემადგენლობაში, სერია B-ში, დიდებული სეზონი გაატარა, მაგრამ მეორე მხრივ ის გამოუცდელია. დიდებული იქნებოდა ლაციოელი ბერნარდო კორადის აყვანაც. კორადის ისეთი თვისებები აქვს, რომლებიც დიდად წაგვადგებოდა, მაგრამ ეს საქმე ჯერ მოსაგვარებელია“.

შემდეგ კი ანჩელოტის ჯენარო გატუზოს „აბსურდის თეორიაზე“ ჰკითხეს — მოგეხსენებათ, მილანელმა ნახევარმცველმა ნაკრების ბანაკში მწვრთნელზე გაილაშქრა, ტრაპატონი მე და მეორე მილანელს, ანდრეა პირლოს ძირითადში რომ არ გვიპირებს თამაშს, აბსურდიაო.

„რინომ ტრაპს უბრალოდ თავისი პოზიცია უთხრა — გაამართლა გატუზო ანჩელოტიმ — მას რაიმე დაპირისპირების გამოწვევა არ უნდოდა. გატუზოს სურს ევროპის ჩემპიონატში აქტიური მონაწილეობა მიიღოს და ეს არის. ის მართალია, როდესაც ამბობს, არავის დუბლიორი არ ვარო“.

**პაპუნა ძედია**

# ემერსონი ემერსონს იუვენტუსში ყიდის

*ბოლო ცნობების თანახმად, „რომა“ მზადაა, „იუვენტუსს“ ემერსონის თაობაზე ესაუბროს. შევახსენებთ: ბრაზილიელი ნახევარმცველი „რომაში“ თამაშობდა ფაბიო კაპელოს ხელმძღვანელობით, ახლახან კი კაპელო სწორედ „იუვეში“ გადაბარგდა. ამბობენ, რომ ემერსონმა „ბებერ ქალბატონს“ პირადი ამბები უკვე შეუთანხმა, მაგრამ კლუბებს შორის ურთიერთობა ჯერ მოსაგვარებელია.*



ისიც ითქვა, რომ „რომამ“ ფეხბურთელის სატრანსფერო თანხა „რეალთან“ შეათანხმა — მადრიდელებსაც სურთ ემერსონის ყიდვა — მაგრამ როგორ გინდა გაუშვა ფეხბურთელი ერთგან, თუკი იგი მეორეგან მიისწრაფვის? გარდა ამისა, რომაელებს, რამდენადაც ცნობილია, ტურინელები გულზე მაინცდამაინც არ ეხატებათ და ესეც რომ არ იყოს, რა ლოგიკაა კონკურენტის გაძლიერებაში? მაგრამ, ვიმეორებთ, ლევერკუზენის „ბაიერის“ ყოფილ ვარსკვლავს გული „იუვენტუსისკენ“ მიუწევს.

დავძინოთ, რომ ემერსონს „რომასთან“ კონტრაქტი კიდევ ერთი წლით აკავშირებს, რაც იმას ნიშნავს, რომ რომაელები მას ან ახლა გაყიდიან ან გაისად იგი უკაპიკოდ გაექცევათ.

ახლა იმაზე, თუ რა თანხად იყო ბრაზილიელის ძველი გუნდი „რეალთან“ გარიგებული — ამბობენ, ეს თანხა 8 მილიონი ევროს მიდამოებში იყოო, ტურინელები კი თურმე მხოლოდ ექვსნახევრის ფარგლებში იხდიან, მაგრამ ყოფილა გამოსავალიც: თუ „იუვე“ „რომას“ პირობას დაუდებს, რომ „პარმადან“ ალბერტო ჯილარდინოს ყიდვას არ ეცდება, დედაქალაქელებმა შესაძლოა, ემერსონს ფასი დააკლონ.

შეიძლება ამ სატრანსფერო კომბინაციაში რამენაირად „პარმას“ ნახევარმცველი მანუელე ბლაზიც ჩართონ.

**პაპუნა ძედია**

# დარჩი, დავიდ!

## ძამბროტას ტრეზეგე არავისთვის ემეტება



„იუვენტუსისა“ და იტალიის ნაკრების მოთამაშე, ჯანლუკა ძამბროტა ამბობს, რომ ფრანგ თანაკლუბელს, დავიდ ტრეზეგეს, ძნელად შეელევა. არადა, ტრეზეგეზე რას არ ამბობენ. ხან თქვეს, რომ „ბარსელონაში“ მიდის, სადაც ხელფასის საკითხიც კი უკვე მოგვარებული აქვს, ხან თქვეს, რომ „ინტერს“ კრისტიან ვიერიში უცვლიან და ხან „იუვეში“ დარჩება, ოღონდ ხელფასზე ივაჭრებსო.

„წავიკითხე, რომ ტრეზეგეს დარჩენის დიდი შანსი აქვს და თუ მართლა ასე მოხდება, ბედნიერი ვიქნები. დიახ, ვიცი ისიც, რომ შესაძლოა, ტრეზეგეს წასვლა ვიერის მოსვლის ტოლფასი იყოს, მაგრამ მე თუ მკითხავთ, დავიდის დარჩენა სჯობს, რადგან, ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ბოლო წლებში მან „იუვეს“ დიდი სამსახური გაუწია“ — განაცხადა ძამბროტამ.

და, ბუნებრივია, „ბარის“ ყოფილ მოთამაშეს ახალ მწვრთნელზე, ფაბიო კაპელოზეც სთხოვეს აზრის გამოთქმა.

„ჩვენი კლუბი იმხელა სახელისაა და აქ მუშაობა ისეთი პრესტიჟულია, რომ ცნობილი ადამიანები გვერდს ვერ უვლიან. ერთ-ერთი მათგანი გახლავთ კაპელოც — მიუგო ძამბროტამ — აქვე ვიტყვი, რომ ჩემთვის აბსოლუტურად სულერთია, რას ამბობდა ის ადრე „იუვენტუსზე“. ჩემთვის მთავარია, მან გვიხელმძღვანელოს და ვფიქრობ, ამ საქმისთვის მეტისმეტად შესაფერისი პიროვნებაა“.

**პაპუნა ძედია**

## ნორვეგია

### ტიპელიგა. XI ტური

რუსენბორგი 3:0 ბოდიო გლიმტი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტრომსიო | 10 | 6 | 1 | 3 | 18:9 | 19 |
| რუსენბორგი | 11 | 5 | 4 | 2 | 21:13 | 19 |
| ვოლერენგა | 10 | 4 | 5 | 1 | 10:8 | 17 |
| ოდ გრენლანდი | 10 | 4 | 4 | 2 | 16:11 | 16 |
| ბრანი | 10 | 5 | 1 | 4 | 14:10 | 16 |
| ჰამ კამი | 10 | 4 | 4 | 2 | 10:12 | 16 |
| ლინი | 10 | 4 | 3 | 3 | 12:9 | 15 |
| ლილესტრიომი | 10 | 3 | 4 | 3 | 14:11 | 13 |
| ვიკინგი | 10 | 2 | 6 | 2 | 8:10 | 12 |
| მოლდე | 10 | 2 | 5 | 3 | 11:12 | 11 |
| ბოდიო გლიმტი | 11 | 3 | 2 | 6 | 11:19 | 11 |
| სტაბეკი | 10 | 3 | 1 | 6 | 10:17 | 10 |
| ფრედრიკსტადი | 10 | 2 | 2 | 6 | 15:23 | 8 |
| სოგნდალი | 10 | 1 | 4 | 5 | 13:19 | 7 |

Copa Toyota Libertadores '2004

## ლიბერტადორესის თასი 2004

### ნახევარფინალი. პირველი მატჩი

სან პაულუ (ბრაზილია) 0:0 ონსე კალდასი (კოლუმბია)

რეკლამა სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 94 33 80

# სარბიელი და კროკო წარმოგიდგენთ

## ევროპის ჩემპიონატი 2004. ჯგუფური ეტაპი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **12 ივნისი** | | | | | | |
| 21.00 | 001 | პორტუგალია-საბერძნეთი | 1,55 | 3,3 | 7,0 | 1,05 | 1,26 | 2,24 |
| 23.45 | 002 | ესპანეთი-რუსეთი | 1,6 | 3,3 | 6,0 | 1,07 | 1,26 | 2,12 |
| | | **13 ივნისი** | | | | | | |
| 21.00 | 003 | შვეიცარია-ხორვატია | 2,9 | 3,2 | 2,3 | 1,52 | 1,28 | 1,33 |
| 23.45 | 004 | საფრანგეთი-ინგლისი | 2,05 | 3,1 | 3,5 | 1,23 | 1,29 | 1,64 |
| | | **14 ივნისი** | | | | | | |
| 21.00 | 005 | დანია-იტალია | 4,6 | 3,2 | 1,75 | 1,88 | 1,26 | 1,13 |
| 23.45 | 006 | შვედეთი-ბულგარეთი | 2,15 | 3,1 | 3,3 | 1,26 | 1,3 | 1,59 |
| | | **15 ივნისი** | | | | | | |
| 21.00 | 007 | გერმანია-ჰოლანდია | 2,9 | 3,1 | 2,35 | 1,49 | 1,29 | 1,33 |
| 23.45 | 008 | ჩეხეთი-ლატვია | 1,35 | 4,0 | 9,0 | 1 | 1,17 | 2,76 |
| | | **16 ივნისი** | | | | | | |
| 21.00 | 009 | საბერძნეთი-ესპანეთი | 7,0 | 3,5 | 1,5 | 2,33 | 1,23 | 1,04 |
| 23.45 | 010 | რუსეთი-პორტუგალია | 5,6 | 3,4 | 1,6 | 2,11 | 1,24 | 1,08 |
| | | **17 ივნისი** | | | | | | |
| 21.00 | 011 | ინგლისი-შვეიცარია | 1,55 | 3,5 | 6,0 | 1,07 | 1,23 | 2,21 |
| 23.45 | 012 | ხორვატია-საფრანგეთი | 6,0 | 3,5 | 1,55 | 2,21 | 1,23 | 1,07 |
| | | **18 ივნისი** | | | | | | |
| 21.00 | 013 | ბულგარეთი-დანია | 3,1 | 3,2 | 2,2 | 1,57 | 1,28 | 1,3 |
| 23.45 | 014 | იტალია-შვედეთი | 1,75 | 3,2 | 4,6 | 1,13 | 1,26 | 1,88 |
| | | **19 ივნისი** | | | | | | |
| 21.00 | 015 | ლატვია-გერმანია | 7,5 | 4,0 | 1,4 | 2,6 | 1,17 | 1,03 |
| 23.45 | 016 | ჰოლანდია-ჩეხეთი | 2,35 | 3,1 | 2,9 | 1,33 | 1,29 | 1,49 |
| | | **20 ივნისი** | | | | | | |
| 23.45 | 017 | ესპანეთი-პორტუგალია | 2,6 | 3,0 | 2,6 | 1,39 | 1,3 | 1,39 |
| 23.45 | 018 | რუსეთი-საბერძნეთი | 2,35 | 3,1 | 2,9 | 1,33 | 1,29 | 1,49 |
| | | **21 ივნისი** | | | | | | |
| 23.45 | 019 | ხორვატია-ინგლისი | 4,4 | 3,3 | 1,75 | 1,88 | 1,25 | 1,14 |
| 23.45 | 020 | შვეიცარია-საფრანგეთი | 8,0 | 4,2 | 1,35 | 2,75 | 1,15 | 1,02 |
| | | **22 ივნისი** | | | | | | |
| 23.45 | 021 | იტალია-ბულგარეთი | 1,45 | 3,8 | 7,0 | 1,04 | 1,2 | 2,46 |
| 23.45 | 022 | დანია-შვედეთი | 2,6 | 3,0 | 2,6 | 1,39 | 1,3 | 1,39 |
| | | **23 ივნისი** | | | | | | |
| 23.45 | 023 | ჰოლანდია-ლატვია | 1,25 | 5,0 | 10,0 | 1 | 1,11 | 3,33 |
| 23.45 | 024 | გერმანია-ჩეხეთი | 2,6 | 3,1 | 2,5 | 1,41 | 1,27 | 1,38 |

| | 6001 ჩემპიონი | 6101 ფინალი | 6201 ჯგ.Iადგ. | 6301 ჯგ.გასვ | 6401 ჯგ.ვერ.გასვ |
|---|---|---|---|---|---|
| საფრანგეთი | 4,5 | 2,2 | 1,75 | 1,15 | 4,0 |
| იტალია | 4,5 | 2,2 | 1,65 | 1,12 | 4,4 |
| პორტუგალია | 6,0 | 3,0 | 2,1 | 1,2 | 3,5 |
| ესპანეთი | 6,0 | 3,0 | 2,1 | 1,25 | 3,1 |
| ინგლისი | 6,0 | 3,0 | 2,5 | 1,3 | 2,8 |
| ჰოლანდია | 8,0 | 4,0 | 2,5 | 1,3 | 2,8 |
| ჩეხეთი | 12,0 | 6,0 | 2,8 | 1,5 | 2,2 |
| გერმანია | 15,0 | 7,0 | 3,1 | 1,55 | 2,1 |
| შვედეთი | 25,0 | 12,0 | 4,5 | 1,9 | 1,7 |
| დანია | 30,0 | 13,0 | 4,6 | 1,95 | 1,65 |
| რუსეთი | 50,0 | 25,0 | 8,0 | 3,2 | 1,23 |
| ხორვატია | 50,0 | 20,0 | 8,0 | 2,9 | 1,27 |
| ბულგარეთი | 50,0 | 25,0 | 7,5 | 2,9 | 1,27 |
| საბერძნეთი | 75,0 | 35,0 | 8,0 | 3,8 | 1,16 |
| შვეიცარია | 75,0 | 35,0 | 12,0 | 3,8 | 1,16 |
| ლატვია | 200,0 | 75,0 | 30,0 | 8,0 | 1,02 |




ეროვნული ბიბლიოთეკა

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **იტალია. სერია C1/A. პლეი-ოფი** | | | | | | |
| | | **13 ივნისი** | | | | | | |
| 19.30 | 025 | ჩეზენა-ლუმეცანე | 2,1 | 2,5 | 4,0 | 1,14 | 1,37 | 1,53 |
| | | **იტალია. სერია C1/B. პლეი-ოფი** | | | | | | |
| | | **13 ივნისი** | | | | | | |
| 19.30 | 026 | ვიტერბეზე-კროტონე | 2,2 | 2,5 | 3,6 | 1,17 | 1,36 | 1,47 |
| | | **დანია. I დივიზიონი. XXIX ტური** | | | | | | |
| | | **13 ივნისი** | | | | | | |
| 16.00 | 042 | სიონდერიულანდი-სილკებორგი | 3,3 | 3,6 | 1,8 | 1,72 | 1,16 | 1,19 |
| 16.00 | 043 | ჰორსენსი-ბ 1913 | 1,05 | 6,0 | 12,0 | 1 | 1 | 4 |
| 16.00 | 044 | კიოგე-ფრედერისია | 1,45 | 4,2 | 5,0 | 1,07 | 1,12 | 2,28 |
| 16.00 | 045 | ფკ ორჰუსი-ნორდიულანდი | 2,1 | 3,6 | 2,1 | 1,32 | 1,04 | 1,32 |
| 16.00 | 046 | ფრემადი-ნიკიობინგი | 2,3 | 3,6 | 2,4 | 1,4 | 1,17 | 1,44 |
| 16.00 | 047 | ბრიონსჰიოი-რანდერსი | 3,6 | 4,0 | 1,65 | 1,89 | 1,13 | 1,16 |
| 16.00 | 048 | იოლსტიკე-სკიოლდი | 2,0 | 3,6 | 2,9 | 1,28 | 1,18 | 1,6 |
| 16.00 | 049 | ბ 93-ვეილე | 2,3 | 3,5 | 2,45 | 1,38 | 1,18 | 1,44 |
| | | **პოლონეთი. I ლიგა. XXVI ტური** | | | | | | |
| | | **11 ივნისი** | | | | | | |
| 22.00 | 161 | კატოვიცე-ლეგია | 3,6 | 3,2 | 1,8 | 1,69 | 1,19 | 1,15 |
| 22.00 | 162 | ლეხი-ვისლა | 3,2 | 3,1 | 1,95 | 1,57 | 1,21 | 1,19 |
| 22.00 | 163 | ლეჩნა-ამიკა | 2,7 | 3,0 | 2,4 | 1,42 | 1,27 | 1,33 |
| 22.00 | 164 | პოლონია-გურნიკი | 1,2 | 3,8 | 5,0 | 1 | 1 | 2,15 |
| 22.00 | 165 | სვიტი-პოლკოვიცე | 1,7 | 3,0 | 4,4 | 1,08 | 1,22 | 1,78 |
| | | **ბრაზილია. სერია A. IX ტური** | | | | | | |
| | | **12 ივნისი** | | | | | | |
| 24.00 | 169 | ფლუმინენსე-გუარანი | 1,6 | 3,4 | 5,0 | 1,08 | 1,21 | 2,02 |
| 24.00 | 170 | პარანა-ბოტაფოგო | 1,6 | 3,4 | 5,0 | 1,08 | 1,21 | 2,02 |
| 02.00 | 171 | სან პაულუ-გრემიო | 1,65 | 3,4 | 4,6 | 1,11 | 1,21 | 1,95 |
| 02.00 | 172 | ინტერნასიონალი-ატლეტიკო მნ | 1,7 | 3,3 | 4,4 | 1,12 | 1,22 | 1,88 |
| | | **13 ივნისი** | | | | | | |
| 24.00 | 173 | პალმეირასი-ვასკუ და გამა | 1,65 | 3,4 | 4,6 | 1,11 | 1,21 | 1,95 |
| 24.00 | 174 | გოიასი-კორინთიანსი | 1,75 | 3,3 | 4,0 | 1,14 | 1,21 | 1,8 |
| 24.00 | 175 | კურიტიბა-სან კაეტანო | 2,5 | 3,1 | 2,45 | 1,38 | 1,23 | 1,36 |
| 24.00 | 176 | კრიკიუმა-ჟუვენტუდი | 1,65 | 3,3 | 4,8 | 1,1 | 1,22 | 1,95 |
| 24.00 | 177 | კრუზეირო-პაისანდუ | 1,3 | 4,2 | 8,0 | 1 | 1,11 | 2,75 |
| 24.00 | 178 | პონტე პრეტა-ფიგეირენსე | 1,8 | 3,3 | 3,6 | 1,16 | 1,19 | 1,72 |
| 02.00 | 179 | ვიტორია-სანტოსი | 1,8 | 3,3 | 3,6 | 1,16 | 1,19 | 1,72 |
| 02.00 | 180 | ფლამენგო-ატლეტიკო პრ | 2,4 | 3,1 | 2,6 | 1,35 | 1,24 | 1,41 |
| | | **არგენტინა. კლაუსურა. XVII ტური** | | | | | | |
| | | **11 ივნისი** | | | | | | |
| 05.10 | 184 | ინდეპენდიენტე-ტალიერესი | 2,4 | 3,1 | 2,6 | 1,35 | 1,24 | 1,41 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **12 ივნისი** | | | | | | |
| 02.35 | 185 | კოლონი-ველესი | 1,95 | 3,2 | 3,4 | 1,21 | 1,23 | 1,64 |
| 05.10 | 186 | კილმესი-რასინგი | 2,3 | 3,2 | 2,7 | 1,33 | 1,24 | 1,46 |
| | | **13 ივნისი** | | | | | | |
| 23.30 | 187 | არსენალი-ჩაკარიტა | 1,65 | 3,4 | 4,6 | 1,11 | 1,21 | 1,95 |
| 23.30 | 188 | ბანფილდი-ხიმნასია | 1,55 | 3,5 | 5.3 | 1.07 | 1.19 | 2.1 |
| 23.30 | 189 | ესტუდიანტესი-ნუევა ჩიკაგო | 1,85 | 3,2 | 3,6 | 1.17 | 1.22 | 1.69 |
| 23.30 | 190 | ნიუელზი-ატლეტიკო | 2,05 | 3,1 | 3,3 | 1.23 | 1.26 | 1,59 |
| 23.30 | 191 | სან ლორენსო-როსარიო | 1,55 | 3,5 | 4,8 | 1,07 | 1,17 | 2,02 |
| 00.10 | 192 | რივერ პლეიტი-ლანუსი | 1,35 | 3,8 | 7,0 | 1 | 1,13 | 2,46 |
| 02.30 | 193 | ოლიმპო-ბოკა ხუნიორსი | 4,2 | 3,4 | 1,65 | 1,87 | 1,18 | 1,11 |
| | | **იაპონია** | | | | | | |
| | | **ჯეი ლიგა. XII ტური** | | | | | | |
| | | **12 ივნისი** | | | | | | |
| 11.30 | 233 | ტოკიო-გამბა | 2,0 | 3,1 | 3.4 | 1,21 | 1,25 | 1.62 |
| 11.30 | 234 | ივატა-იჩიჰარა | 1,7 | 3,2 | 4,6 | 1,11 | 1.24 | 1,88 |
| 11.30 | 235 | ნაგოია-ურავა | 2,6 | 3,1 | 2,4 | 1.41 | 1,24 | 1,35 |
| 11.30 | 236 | კობე-იოკოჰამა | 3,2 | 3,1 | 2,1 | 1,57 | 1.26 | 1,25 |
| 15.00 | 237 | კაშივა-შიმიცუ | 2,4 | 3,1 | 2,6 | 1,35 | 1,24 | 1,41 |
| 15.00 | 238 | ოიტა-ნიიგატა | 1,6 | 3,4 | 5,0 | 1,08 | 1,21 | 2,02 |
| | | **13 ივნისი** | | | | | | |
| 11.00 | 239 | ჩერეძო-ვერდი | 2,5 | 3,1 | 2,45 | 1,38 | 1,23 | 1,36 |
| 11.00 | 240 | ჰიროსიმა-კაშიმა | 2,45 | 3,1 | 2,45 | 1.36 | 1,22 | 1.36 |

## ფორმულა 1. კანადა. 12 ივნისი (17.00)

| 8001 გამარჯვებული | ექვსეული | 8301 უსწრ. წრე |
|---|---|---|
| მ.შუმახერი ------------- 1,4 | 1,06 ---------- 1.03 | 1.45 |
| ბარიკელო ------------- 7,0 | 1,7 ------------ 1,1 | 5.0 |
| მონტოია --------------- 8,0 | 1,8 ---------- 1,15 | 5,0 |
| რ.შუმახერი ---------- 18,0 | 4,0 ---------- 1,25 | 12.0 |
| კულტჰარდი --------- 40,0 | 9,0 ------------ 1,5 | 25.0 |
| რაიკონენი ------------ 25,0 | 6,0 ---------- 1,35 | 15,0 |
| ტრული --------------- 12,0 | 3,0 ------------ 1,2 | 9,0 |
| ალონსო -------------- 11,0 | 2,4 ---------- 1,15 | 7.0 |
| ბატონი ---------------- 6,0 | 1,6 ------------ 1,1 | 5.0 |
| სატო ------------------ 25,0 | 5,0 ---------- 1,25 | 15,0 |
| ფიზიკელა ------------ 100,0 | 25,0 ------------ 3,5 | 40,0 |
| მასა ------------------- 150,0 | 30,0 ------------ 4,0 | 50,0 |
| უებერი --------------- 100,0 | 25,0 ------------ 3,5 | 40,0 |
| კლიენი --------------- 150,0 | 30,0 ------------ 4,0 | 50.0 |
| და მატა ------------- 150,0 | 30,0 ------------ 4.0 | 50,0 |
| პანისი ---------------- 150,0 | 30,0 ------------ 4,0 | 50.0 |
| პაიდფელდი --------- 250,0 | 50,0 ------------ 7,0 | 75.0 |
| პანტანო ------------- 300,0 | 50,0 ------------ 7,0 | 75.0 |
| ბრუნი ---------------- 500,0 | 100,0 ---------- 12,0 | 100,0 |
| ბაუმგარტნერი ------ 500,0 | 100,0 ---------- 12,0 | 100,0 |

**შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

# ტაქტიკური უკანდახევა
# კადეტები საბერძნეთში ბავშვებით მიდიან

*ზეგ საქართველოს კადეტთა ნაკრები კიევში მიემგზავრება, სადაც ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპისთვის მოემზადება. საკუთრივ შესარჩევ ტურნირს საბერძნეთი უმასპინძლებს 6-დან 14 ივლისამდე და იქ ქართველები ძველებური რიხით ვერ ჩადიან. საქმე ისაა, რომ ჩვენს საკადეტო თაობას ასაკი მოემატა და არაერთ ევროტურნირზე ნაყოჩაღები ბიჭბუჭები ახლა ჭაბუკთა ნაკრების სახელით თამაშობენ არანაკლები წარმატებით. ეს საკადეტო თაობა კი პირველად გადის საზღვარგარეთ და კიევური შეკრება ნიკო ჩერქეზიშვილის გუნდისთვის გვარიანი სტიმული იქნება. თუმცა რაღა საკადეტო, ჩერქეზიშვილს საბერძნეთში ერთი-ორი წლით უმცროსები მიჰყავს, რაკი მათ უფრო მეტი პერსპექტივა აქვთ და მომავალ საკადეტო ტურნირებისთვისაც დაიგროვებენ გამოცდილებას...*



ვაჟა ფოლადაშვილის ფოტო

— 3 კვირაა, შევიკრიბეთ და მთელი დატვირთვით ვვარჯიშობთ — გვეუბნება კადეტთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი ნიკო ჩერქეზიშვილი — თუმცა, სამწუხაროდ, ტრავმებმა შეგვაწუხა, 4 მოთამაშე დაგვიშავდა. 2 საცაა, მწყობრში ჩადგება. ნოდარ შენგელიამ და რიჩარდ მათიაშვილმა ვარჯიში უკვე განაახლეს, მალე კი ალბათ დანარჩენებიც შემოგვიერთდებიან.

**— ნაკრების ბირთვი თქვენი ბავშვთა გუნდიდანაა...**

— დიახ, ერთი დინამოელი და ერთიც ქუთაისელია, დანარჩენები ჩემი გუნდიდან არიან. საკადეტო ასაკი 1988-იანებს უწევთ, მაგრამ ჩვენს ნაკრებში ძირითადად 89-90-იანები არიან. ეს იმიტომ გავაკეთეთ, რომ 88-იანების თაობა შედარებით „დაჩაგრულია", 89-იანებში კი ბევრად პერსპექტიული ბიჭები არიან. თან წლეულს მიღებული გამოცდილება მომავალი საერთაშორისო ტურნირნებისთვის გამოადგებათ, 88-იანები რომ წამეყვანა, ითამაშებდნენ და მორჩა, საკადეტო ასაკიდან გამოვიდოდნენ. ამათ კი წინ კიდევ 2 წელი აქვთ. ვნახოთ, ეგებ გაამართლონ.

**— საბერძნეთში მხოლოდ გამართლების იმედად ვერ იქნებით, ძალიან ძლიერი მეტოქეები შეგვხვდნენ...**

— აქედანვე შეგუებულები ვართ, რომ ჯგუფიდან ვერ გავალთ. ლიტვა, სერბეთი და იტალია — ამათგან რომელ ერთს გინდა აჯობო გამოუცდელი გუნდით?

**— მთლად გამოუცდელებიც არ იქნებიან, ზეგ ხომ კიევში საერთაშორისო ტურნირზე მიდიხართ...**

— კიევური შეკრება მართლაც დიდად დაგვეხმარება. ამ ბიჭებს საქართველოს გარეთ არ გაუყვიათ თავი, არათუ სადმე საერთაშორისო ტურნირზე მიეღოთ მონაწილეობა. საადაპტაციოდ კიევური ტურნირი იდეალური ვარიანტია ამ ეტაპზე. ბიჭები საერთაშორისო ტურნირის თავისებურებებს გაეცნობიან, რაც საბერძნეთში უთუოდ წაადგებათ.

**— რამდენ მატჩს გამართავთ კიევში?**

— 5 მატჩია დაგეგმილი — 3 ტურნირზე, რომელშიც ჩვენთან ერთად უკრაინის, თურქეთისა და რუსეთის ნაკრებები იქნებიან, ორსაც დამატებით გავმართავთ. არც ეს გუნდები არიან სუსტები. რუსებს ერთი 222-სანტიმეტრიანი მოთამაშე ჰყავთ, რომელზეც დიდ იმედებს ამყარებენ. რუსეთის კადეტები ახლახან ცსკა-ს დუბლებს უთამაშნენ და [illegible] წინააღმდეგობა გაუწიეს. ამ მატჩში არ უთამაშია [illegible] ძეს, რომელიც ტრევიზოს კემპზე იმყოფებოდა.

**— ევროშესარჩევის მეტოქეებზე თუ ფლობთ ინფორმაციას?**

— ვიცით, რომ სამივე მეტოქე იდეალურ პირობებში ემზადება და მეტად ძლიერი შემადგენლობებიც ჰყავთ. ლიტვაში 212-სანტიმეტრიანი ბიჭი თამაშობს, რომელიც ძალიან პერსპექტიული ყოფილა.

**— კარგი, წააგეთ ჯგუფში სამივე მეტოქესთან, მერე რა მოხდება?**

— ჩვენი მიზანი A კატეგორიის გუნდებში დარჩენაა. ფიბა-ს ყველა ასაკობრივი გუნდი ორად ჰყავს გაყოფილი და ქვედა ეშელონებში მყოფნი ჯერ ზევით ასანაცვლებად იბრძვიან, მერე ევროჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გასაღწევად. ჩვენი ნაკრები ყოჩაღი წინამორბედი თაობის წყალობით ზედა ეშელონშია და თუ საბერძნეთში თავი არ შევირცხვინეთ, იქვე დავრჩებით, ანუ საბერძნეთში ჩამოსულ 12 გუნდს შორის მინიმუმ ათეულში უნდა მოვხვდეთ. ჩვენთვის ნაღდი ბრძოლები ჯგუფური ეტაპის შემდეგ დაიწყება და იმედი მაქვს, ძლიერთა შორის ადგილს შევინარჩუნებთ. მადლობა ფედერაციას, რომელმაც ყველაფერი გააკეთა და კიევურ ტურნირზე გვიშვებს, რათა საბერძნეთში სრულიად გამოუცდელი გუნდით არ ჩავიდეთ.

**ირაკლი პერტაია**



ვაჟა ფოლადაშვილის ფოტო

# ჩერქეზიშვილის საჩემპიონო იმედი

კადეტთა ნაკრების მწვრთნელი კარგ ხასიათზე მიემგზავრება კიევურ შეკრებაზე. ნიკო ჩერქეზიშვილის 1989 წელს დაბადებულთა გუნდი „იმედი" ახლახან საქართველოს ჩემპიონი გახდა.

ჩერქეზიშვილი, რომელსაც ხალხი ძირითადად „სტუ-ჯეოსელის" თავკაცის ნუგზარ ჭეიშვილის თანაშემწედ იცნობს, ბავშვთა კალათბურთში წონიანი მწვრთნელია და მისი სხვადასხვა ასაკის გუნდებისთვისაც ჩემპიონობა ჩვეულებრივი მოვლენაა. ამ ბოლო დროს კი ჩერქეზიშვილი 89-წლიანებმა გაახარეს, რომლებმაც საქართველოს ჩემპიონატის ფინალში თამაზ ოქრუაშვილის „მართვე" დაამარცხეს.

ფინალური მატჩი მეტად საინტერესო გამოვიდა და საბოლოოდ „იმედის" გამარჯვებით დასრულდა. ჩერქეზიშვილის გუნდიდან განსაკუთრებით თავი ამ ჯეელებმა გამოიჩინეს: გიორგი ილაშვილი, გიგა რაზმაძე, გიორგი ბარბაქაძე, ლევან ტუხაშვილი, ოთარ მეფარიშვილი, ვასიკო ბერუაშვილი.

ჩერქეზიშვილს გუნდის მომზადებაში გვერდში ედგა ბავშვთა კალათბურთში ყველასთვის კარგად ნაცნობი სპეციალისტი ვაჟა ჭოტაშვილი. „იმედის" არაერთი მოთამაშე კადეტთა ნაკრების წევრია და ზეგ ჩერქეზიშვილთან ერთად კიევს გაემგზავრება.

**ირაკლი პერტაია**



# არ უნდა გადაგვეხურათ!
## ჟაკ როგმა ბერძნებს საქმე დაუხურდავა

ათენის ოლიმპიური თამაშების საორგანიზაციო კომიტეტი სულ უფრო და უფრო მეტს წუწუნებს იმის თაობაზე, რომ ამ თამაშებისთვის სპორტული ბაზების მშენებლობა მეტისმეტად ძვირი გვიჯდებაო. ამასთან დაკავშირებით საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა ჟაკ როგმა ბელგიის „ლე სუართან" მიცემულ ინტერვიუში ათენელთა საოლიმპიადო სამზადისი გააკრიტიკა.

„ბერძნებმა მხოლოდ საკუთარი თავი უნდა დაადანაშაულონ იმაში, რომ მათ ბაზების მშენებლობის გრაფიკი დაერღვათ და ხარჯთაღრიცხვასაც გადააჭარბეს". როგმა საბერძნეთის მთავრობა გიგანტომანიით გატაცებისთვის გააკრიტიკა და დასძინა, რომ ოლიმპიური ბაზების მშენებლობის ხარჯთაღრიცხვისთვის რომ არ გადაეჭარბებინათ, ისინი ისედაც ძვირი ჯდებოდაო. მაგალითად, როგმა აღნიშნა, რომ ოლიმპიური სტადიონის გადახურვით საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი სულაც არ იყო დაინტერესებული.

ეს საქმე 230 მილიონი დოლარი ჯდება, მაგრამ საბერძნეთის მთავრობამ დაჟინებით მოითხოვა ათენის ოლიმპიური სტადიონის გადახურვა, ჩვენ კი სუვერენული ქვეყნის სუვერენულ მთავრობაზე ზემოქმედების საშუალება არ გაგვაჩნია. ამიტომაც ისინი ნუ წუწუნებენ მათი ოლიმპიადის ესოდენი გაძვირების გამო — თქვა როგმა.

ბერძნების შემხედვარე საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა ჭკუა ისწავლა. ამასთან დაკავშირებით როგმა განაცხადა, რომ ამიერიდან ოლიმპიადის მასპინძლობას იმ ქალაქებს მივანდობთ, სადაც უკვე არსებობს შესაბამისი ინფრასტრუქტურა და მშენებლობისთვის მინიმალური სამუშაოებია შესასრულებელიო.



ნუ წუწუნებთ! ჟაკ როგი ბერძნებს გიგანტომანებად მოიხსენიებს



უსახელო იან ფლანაგანი ერთმანეთის მიყოლებით ამარცხებს სახელიანებს

# სადაც ბალახი ამოვა, იქ კორია ვერ ივლის

**THE STELLA ARTOIS CHAMPIONSHIPS**
ლონდონი. ბალახი
საპრიზო 792 ათასი €

**მეორე წრე**

**ლი იენ-ჰსუნი** (ტაივანი) — გილერმო კორია (2, არგენტინა) 6:2, 6:4; **კაროლ ბეკი** (სლოვაკეთი) — ტიმ ჰენმანი (4, ბრიტანეთი) 6:2, 3:6, 7:6 (8:6); **სებასტიან გროჟანი** (5, საფრანგეთი) — ტოდ რიდი (ავსტრალია) 6:3, 6:1; **ლეიტონ ჰიუიტი** (6, ავსტრალია) — მარკ ლოპესი (ესპანეთი) 6:3, 6:2; **პარადორნ შრიჩაფანი** (7, ტაილანდი) — უესლი მოოდი (სამხრეთ აფრიკა) 6:3, 6:2; **იან ფლანაგანი** (ბრიტანეთი) — ვიქტორ ჰანესკუ (რუმინეთი) 7:6 (7:4), 6:3

ტიმ ჰენმანის როლანგაროსული ჩოგნაობის შემხედვარეთ იმედი მოგვეცა, რომ ნაროლანგაროსევს, როცა საქმე ბალახზე მიდგებოდა, მის გაჩერებას უკვე ველარავინ შეძლებდა. მაგრამ თიხისალლოალებულ კუნძულელს მშობლიურმა კოინდარმა პირველსავე ჯერზე უმტყუნა.

უიმბლდონის ოთხგზის ნახევარფინალისტსა და ამქრის უკანასკნელ „მოაწოდე-მიეძალე“ ყაიდით მობურთავეს სტელაარტუობის მეორე წრეში სლოვაკმა კაროლ ბეკმა მოუგო, კაცმა, ვისაც რეიტინგსიის ზეათეულელისთვის აქამდე ვერასოდეს ეჯობნა.

ცხადია, იმედგაცრუებული ვარო, ამბობდა ნამარცხევს 29 წლის ჰენმანი, მაგრამ ჩემს წინასაუიმბლდონო მზადებას ეს ამბავი მაინც ვერ წამურდლავსო.

ასევე იძლია როლანგაროსობის ფინალისტი და ნახევარფინალში სწორედ ჰენმანის მძლევარი გილერმო კორია. 22 წლის არგენტინელს, ვისაც ალბათ დიდხანს არ მოასვენებს გასულ კვირას თვისტომ გასტონ გაუდიოსგან პარიზულ სეფეთიხნარზე ნაწვნევი, ჰაი-ჰაი, რომ დასტურ უსამართლო მარცხი, ლონდონური ბალახის დაჭაშნიკება მავანმა უსახელო ტაივანელმა, იენ-ჰსუნმა არ შეარგო.

თუმცა ნამარჩევს კორია მაინც ხალისიანად მსჯელობდა: „პარიზული თიხიდან ეგრევე ლონდურ კოინდარზე გადასვლა ძალიან ძნელია. ისიც კარგად ვიცი, რომ უიმბლდონზე საუკეთესო შანსები არ მაქვს. მაგრამ იქ კარგად თამაშს მაინც ვაპირებ. ჩემი მიზანი წლეულს რეიტინგსიის პირველოსნობა და კიდევ რამდენიმე ტიტულის შოვნაა. ამ ტიტულებს შორის ოლიმპიადისა და აშშ-ის ღია პირველობის ჩემპიონობასაც ვგულისხმობ. ისე, უარს არც უიმბლდონის მოგებაზე ვიტყოდი.“

სხვაფრივ — რიგიანად გაირჯა და ესპანელი ლოპესი 57 წუთში აოტა ტურნირის ორგზის გამარჯვებულმა ლეიტონ ჰიუიტმა. ის ახლა ქუინზკლაბში სამი მარცხის წილ უკვე 22 მოგებას დაიკვეხს.

მაგრამ ყველაზე დიდი ყიჟინა და ჰარალო იმ დღეს მაინც 22 წლის უელსელს, რეიტინგსიის 866-ე ადგილზე მდგომ იან ფლანაგანს შეხვდა. ამ ბიჭმა პირველ წრეში მეცხრე ნომრად განთესილი მარკ ფილიპუსისი განაძო, რაიც — გარდა იმისა, რომ მის პირველ საეიტიპიო მატჩში პირველივე გამარჯვება გახლდათ — ტურნირის ისტორიის ყველაზე დიდი სენსაციაც გამოდგა. მეორეში კი ფლანაგანი რეიტინგსიის 78-ეადგილოსან რუმინელ ჰანესკუსაც გასცდა, რის გამოც ის ნამარჩევს მილეთმა ფეხზედგომელა ოვაციით დააჯილდოვა.

**GARRY WEBER OPEN**
ჰალე. ბალახი
საპრიზო 792 ათასი €

**მეორე წრე**

**როჯერ ფედერერი** (1, შვეიცარია) — მიხაილ იუჟნი (რუსეთი) 6:2, 6:1; **ირჟი ნოვაკი** (3, ჩეხეთი) — მარკო კიუდინელი (შვეიცარია) 6:3, 6:1; **ტომი ჰაასი** (გერმანია) — კენეტ კარლსენი (დანია) 6:7 (3:7), 6:2, 6:4; **არნო კლემანი** (საფრანგეთი) — ალექსანდრ პოპი (გგერმანია) 7:6 (7:4), 6:4

მიხაილ იუჟნიმ შარშანძელ ნახევარფინალში როჯერ ფედერერს შეუპოვარი წინაალმდეგობა გაუწია და ერთი სეტიც წაჰგვარა კიდეც, მაგრამ ამ ჯერზე ყველაფერი სხვაგვარად იყო. როლანგაროსობიდან პირველსავე კვირას განდევნილი პირველოსანი ბალახობისთვის გულდაგულ იგეშა და სეტი კი არა, მეტოქეს სამი გეიმი ძლივს დაუთმო. მომდევნო წრეში ის ფრანგ არნო კლემანს შეხვდება, რომელსაც ადრე მხოლოდ იქვე, ოთხი წლის წინ დაპირისპირებია და გაუჩოგნავს კიდეც.

**ლევან ძელაურაძე**



# ყვანჯების რევოლუცია რუსულ ჰოკეიში

## ვიქტორ ტიხონოვი უსისხლოდ გააგდეს

მსოფლიოს თასის მონაწილე ქვეყნებმა პირობისამებრ დაასახელეს თავიანთი ნაკრებების შემადგენლობა. 8 გუნდიდან მხოლოდ ერთს, რუსეთს გაუჯანჯლდა საქმე — ორგანიზაციული პრობლემებისა და შინაგანი კონფლიქტების გამო შეაგვიანდა. მსოფლიოს ჩემპიონატზე მორიგი ჩავარდნის მერე ფედერაციის ხელმძღვანელობამ ვიქტორ ტიხონოვის გადაყენება განიზრახა. თუმც 74 წლის სპეციალისტმა ნებით არ მიატოვა პოსტი, ძალა კი ვერ გამოიყენეს, რადგან გუნდთან სამწლიანი კონტრაქტი აკავშირებს და ის უნდა გასძღოლოდა ნაკრებს მსოფლიოს თასზე. ვითარებას ისიც ამძიმებდა, რომ ნჰლ-ში მოთამაშე რუს ჰოკეისტებს საბჭოთა კავშირის პერიოდიდან მოყოლებული მძიმე ურთიერთობა აქვთ ტიხონოვთან და მათმა დიდმა ნაწილმა ულტიმატუმი წაუყენა ფედერაციას — ან ტიხონოვი ან ჩვენო! ჩიხში აღმოჩენილმა ჩინოვნიკებმა შემოვლითი გზების ძიება დაიწყეს, იფიქრეს გენერალურ მენეჯერად პაველ ბურე დავნიშნოთ და ტიხონოვი თავისთავად მეორე პლანზე გადავაო, მაგრამ ბურეს დღემდე „რეინჯერსთან“ აქვს კონტრაქტი და მისი



74 წლის ვიქტორ ტიხონოვი როგორც იქნა, ჩამოაშორეს რუსეთის ნაკრებს

პოსტზე დანიშვნა შეუძლებელი იყო. მსოფლიოს თასის ორგანიზატორებმა ამის შესახებ შეატყობინეს რუსებს და კატეგორიულად მოსთხოვეს, სხვა გენერალური მენეჯერი დაენიშნათ. და რაკი რუსებს დრო აღარ რჩებოდათ, შემადგენლობის დასახელების ვადაც ამიტომ გადაწიეს.

რუსები აჩქარდნენ და რადიკალური ზომები მიიღეს — ტიხონოვი ქვეყნის ყველა ნაკრების მთავარ მწვრთნელად გადაიყვანეს, რაც იმას ნიშნავს, რომ იგი ეროვნულ გუნდში, ისევე როგორც ახალგაზრდულ ნაკრებში, კონსულტანტად იქნება, თავკაცად კი ზინეტულა ბილიალეტდინოვი მიიწვიეს, წარსულში ცნობილი მცველი, რომელსაც თავის დროზე ტიხონოვთან უთამაშია. 31 მაისს კი შემადგენლობაც დასახელდა. საინტერესოა, რომ სიაში ლიტველი დაინიუს ზუბრუსიც აღმოჩნდა. წესით მას, როგორც ლიტვის მოქალაქეს, არა აქვს უფლება, რუსეთის ნაკრების ღირსება დაიცვას, მაგრამ რადგან მსოფლიოს თასი კომერციული შეჯიბრებაა, ხოლო ზუბრუსს ლიტვის ნაკრებში არასოდეს უთამაშია, მას ამის ნება დართეს.

**სამველ ლარიბიანი**



ნიკოლაი ხაბიბულინი

### რუსეთის ნაკრები

**მეკარეები:** ნიკოლაი ხაბიბულინი (ტამპა), ევგენი ნაბოკოვი (სან ხოსე), მაქსიმ სოკოლოვი (ავანგარდი)

**მცველები:** დარიუს კასპარაიტისი (რეინჯერსი), სერგეი გონჩარი (ბოსტონი), ოლეგ ტვერდოვსკი (ავანგარდი), დანიელ მარკოვი (ფილადელფია), ალექსანდრ ხავანოვი (სენტ ლუისი), ანტონ ვოლჩენკოვი (ოტავა), ვიტალი ვიშნევსკი (ანაჰაიმი), ანდრეი მარკოვი (მონრეალი)

**ფორვარდები:** ალექსეი ჟამნოვი (ფილადელფია), სერგეი ფიოდოროვი (ანაჰაიმი), ალექსეი იაშინი (აილენდერსი), ალექსეი კოვალიოვი (მონრეალი), ვალერი ბურე (დალასი), პაველ დაციუკი (დეტროიტი), სერგეი სამსონოვი (ბოსტონი), მაქსიმ აფინოგენოვი (ბუფალო), ილია კოვალჩუკი (ატლანტა), ოლეგ კვაშა (აილენდერსი), დაინიუს ზუბრუსი (ვაშინგტონი), ალექსანდრ ოვეჩკინი (დინამო), არტიომ ჩუბაროვი (ვანკუვერი), ვიქტორ კოზლოვი (ნიუ ჯერსი), მაქსიმ სუშინსკი (ავანგარდი)

***P.S.*** *შემადგენლობა რომ გამოცხადდა, მეორე დღეს „სოვეტსკი სპორტის“ ჟურნალისტები ნიკოლაი ხაბიბულინს დაუკავშირდნენ. „ტამპას“ მეკარე გაოცებული დარჩა ახალი ინფორმციით და პირდაპირ განაცხადა, რომ მასთან ნაკრებიდან არავის ულაპარაკია, შესაბამისად, ის ჯერ მზად არ არის ნაკრებში თამაშზე თანხმობა განაცხადოს. აი, ასე.*



# რუსების გზა მსოფლიოს კედლებზე

დოხადან შინ დაბრუნდა რუსეთის მთამსვლელთა ექსპედიცია „PANASONIC-ჟანას ჩრდილოეთი კედელი“. მისმა წევრებმა შესძლეს ის, რაც აქამდე ვერავინ მოახერხა: რუსმა მთამსვლელებმა ჰიმალაიზე დალაშქრეს ჟანას ჩრდილოეთი კედელი. ეს ასვლა მესამე აღმოჩნდა იმ პროექტიდან, რომელსაც „რუსების გზა — მსოფლიოს კედლებზე“ ჰქვია. ეს პროექტი ალექსანდრ ოდინცოვის გუნდის მეთაურობით 1996 წლიდან ხორციელდება.

„ახლანდელი მიღწევა მსოფლიო დონისაა — ამბობს ოდინცოვი — ჩვენმა ექსპედიციამ ახალი სიტყვა თქვა ალპინიზმში და განახორციელა ისეთი ასვლა, რომელიც მთამსვლელობის ისტორიაში შევა. მწვერვალზე ხუთი კაცი ავიდა. ესენი იყვნენ ალექსანდრ რუჩკინი, დმიტრი პავლენკო, გენადი კირიევსკი, სერგეი ბორისოვი და ნიკოლაი ტოტმიანინი, მაგრამ მათი ასვლა მთელი ექსპედიციის წევრთა ერთიანმა ძალისხმევამ განაპირობა.“

**ავთანდილ ჭყვიშელი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

*გინდათ დიდი რაგბით ისიამოვნოთ? მიბრძანდით 12, 16 და 20 ივნისს სამხრეთ აფრიკული „ბლუ ბულზის" თამაშებზე. ვარსკვლავებით სავსე ზე-12-ის ზემძლავრი გუნდის საქმეში ნახვა ერთ რამედ ღირს, სულაც ნახევარი ძალით რომ ითამაშოს. პრეტორიელმა „ხარებმა" თბილისურ მინდორზე გასვლა ჯერ მხოლოდ ერთხელ მოასწრეს, ისიც მსუბუქად სავარჯიშოდ, მაგრამ თვალის ერთი შევლებითაც ჩანს, ასეთი დონის სარაგბო კრებული თბილისს ბევრი არ სწვევია*

# დღეა პირველი ხარები თბილისში არიან

„ბლუ ბულზი" დილომში, საქართველოს საფეხბურთო ნაკრების ახალ ბაზაზე დაბანაკდა და 21-მდე იქვე დარჩება. თბილისში გამთენიისას ჩამოსულებმა გუშინ შუადღემდე იძინეს, დაახლოებით ოთხი საათისთვის კი სავარჯიშო ფორმა მოირგეს და ცოტა შემხმარ მინდორს ჟრიამულით შეესივნენ. კლუბის მთავარ მწვრთნელ ჰაიკე მეიერისგან შევიტყვეთ, რომ პირველ დღესვე შეგირდების მაქსიმალურად დატვირთვას არ აპირებდა, თუმც არც მთლად სეირნობას ვაპირებთო, დაამატა.

ვიდრე მინდორზე გავიდოდნენ, ოცდაათამდე ზორბა აფრიკელმა ერთი მადლიანი საქმეც გააკეთა. ის იყო, ნომრებიდან გამოვიდნენ, ბაზას მინერალური წყლით დატვირთული მანქანა მოადგა, „ხარებისთვის" ორი ტონა(!) სასმელი წყალი მოიტანეს და მათ გადმოტვირთვას ბაზის მომსახურე პერსონალთან ერთად ჩვენც შევუდექით. ცოტა არ იყოს, გაგვიჭირდა და მაშველთა რაზმიც გამოჩნდა. აფრიკელებმა ცოცხალი ჯაჭვი გააბეს და ათბოთლიანი შეკვრები საჭირო ადგილამდე სულ ბურთაობით მიიტანეს. თან გვარიანადაც ხალისობდნენ.

ყიჟინა „ხარებს" არც ვარჯიშისას შეუწყვეტიათ, თუმც მწვრთნელთა მითითებებს გულისყურით უსმენდნენ და ულაპარაკოდ ასრულებდნენ. ლამის ბავშვური მხიარულებისა და ერთმანეთთან ღლაბუცის მიუხედავად თვალს ხვდება ამ გოლიათთა ორგანიზებულობა და წესრიგიანობა. ყველამ იცის თავისი ადგილი და საქმე.

წყლებით „ნავარჯიშევები" მოედანზე ჩასვლამდე ნახევარი საათით ერთ დიდ ოთახში შეიკეტნენ და თეორიულად წაიმეცადინეს. ვერ გეტყვით, ისეთი რა მოისმინეს, მაგრამ ბოლოს ისეთი მწყობრი ტაში შემოსცხეს, კარგ კლასიკურ კონცერტს დაამშვენებდა.



[illegible] ფოტო

მხიარულება, თან საქმე! სამხრეთაფრიკელმა „ხარებმა" რაგბიც ფრიადზე იციან და ხუმრობისთვისაც იცლიან

პრაქტიკული ვარჯიში დაახლოებით საათნახევარს გაგრძელდა. რა ითქმის, ბურთის ჯადოქრები არიან, ოვალურ ბურთს ფეხით და თავით კენწლავენ, ხელით ხომ დიდიანპატარიანად ყველა ბრწყინვალედ ფლობდა და არც სისწრაფე დაეწუნებოდათ.

ვარჯიში ისე მიილა, მთავარმა მწვრთნელმა ორ-სამჯერ თუ მიიხედა გუნდისკენ. მეიერი ძირითადად მოედნის კიდეზე იდგა მშვენიერი მასაჟისტი გოგონების გარემოცვაში და ხან ფოტოებს იღებდა, ხანაც ტელეფონით საუბრობდა. წვრთნას მისი ასისტენტები უძღვებოდნენ. ასეთები კი იცოცხლეთ, მრავლად იყვნენ. ფიზიკურ დატვირთვებს, მარაოს გაშლასა და მოლში თამაშს სხვადასხვა სპეციალისტი ხელმძღვანელობდა.

არც ისე დაღლილმა „ხარებმა" მოედნიდან აუზში გადაინაცვლეს და ცივ წყალში ღრიალით გადაეშვნენ. მერე ორი კასრი კისელისმაგვარი სასმელიც ჩაცალეს და ნომრებს მიაშურეს. სულ რაღაც ნახევარ საათში უკვე ლუდის ბოთლები მოიმარჯვეს შავი პურითურთ, საღამოს კი კუს ტბაზე მიდიოდნენ. ბუნებითა და ქართული სიმღერებით უნდა დამტკბარიყვნენ.

**ოთარ მაღლაკელიძე**

*ვარჯიშის შემდეგ „ხარების" მთავარ მწვრთნელ ჰაიკე მეიერსა და ზორბა ფორვარდ გეო კრონხეს გამოველაპარაკეთ*

# გულითადი ხალხი, ლამაზი ქვეყანა

**ჰაიკე მეიერი**, „ბლუ ბულზის" მთავარი მწვრთნელი:

*— როგორია თქვენი პირველი შთაბეჭდილებები?*

— მომეწონა აქაურობა. მინდა გითხრათ, რომ საქართველომ სამშობლო მომაგონა. ჩვენთანაც ასეთივე მთებია და კლიმატიც ბევრად არ განსხვავდება. მოკლედ, ადაპტაცია არ გაგვჭირვებია, მაგრამ ყველაზე მეტად რამაც გამაოცა, ეს მასპინძლების გულითადობაა. ქართველები ძალიან მეგობრული ხალხი ხართ, რაც ბაზაზე კარგ ატმოსფეროს ქმნის.

*— მსოფლიოს თასამდე რაიმე თუ გსმენიათ საქართველოზე, როგორც სარაგბო ქვეყანაზე?*

— რა თქმა უნდა. ჩვენი გუნდის რამდენიმე წევრი ადრეც იყო საქართველოში, როდესაც თქვენი ნაკრები სამხრეთ აფრიკის „ა" ნაკრებს ხვდებოდა. აქედან დაბრუნებულმა ბიჭებმა ბევრი კარგი რამ მითხრეს ქართველ მორაგბეებზე და საერთოდ ქართულ რაგბიზე. ასე რომ, ჩვენთვის აქ ყოფნა დიდი პატივია.

*— ჩვენთვისაც დიდი პატივია ისეთი გუნდის მასპინძლობა, როგორიც „ბლუ ბულზია". რა პრაქტიკულ შედეგს ელით ქართული შეკრებისგან?*

— ჩვენ ქარის თასისთვის ვემზადებით. ნაკრების რამდენიმე წევრისა და გამოცდილი მორაგბეების გარდა გუნდში ბევრი ახალწვეულიც გვყავს. მინდა, ამ მატჩებში მათ თავის გამოჩენის საშუალება მივცე, დავინახო მათი რეალური შესაძლებლობა. ეს დაგვეხმარება მომავალში ოპტიმალური შემადგენლობის შერჩევაში.

*— „ბლუ ბულზი" სამ თამაშს გამართავს, პირველს თბილისის კლუბების ნაკრებთან, მეორეს კი საქართველოს „ა" გუნდთან. ამ თამაშების შედეგის გამოცნობა და ფავორიტის დასახელება ძნელი არ არის. უკანასკნელ შეხვედრაში კი თქვენ საქართველოს ეროვნულ ნაკრებს ხვდებით. რას ელით ამ მატჩისგან?*

— პროგნოზებისგან თავს შევიკავებ. თანაც შედეგი ჩვენთვის მთავარი არაა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ვინმე ნახევარი ძალით ითამაშებს. ჩვენებიც და, დარწმუნებული ვარ, თქვენი მორაგბეებიც გამარჯვებისათვის იბრძოლებენ, მით უმეტეს, რომ ვიცი, ქართველი მორაგბეებს განსაკუთრებული ბრძოლისუნარიანობა და ჟინი ახასიათებთ. თქვენს ნაკრებს ფიზიკური მომზადების მხრივაც არა უშავს. შედეგს ვერა და ერთ რამეს კი გეტყვით — თამაში სანახაობრივად მიმზიდველი გამოვა და გულშემატკივარიც ლამაზ რაგბის იხილავს.

**გეო კრონხე**, „ხარების" ხარივით ფორვარდი:

*— რას გვეტყვით მომავალი შეხვედრების წინ?*

— პირველ რიგში იმას ვიტყვი, რომ აქაურობა ძალიან მომეწონა. თქვენ ძალიან ლამაზი ქვეყანა გაქვთ და აქ თავს მშვენივრად ვგრძნობ. დღეს ცოტათი ქარმა შეგვიშალა ხელი, მაგრამ ეგ არაფერია, ლამაზ თამაშებს გპირდებით.

*— ჩვენს გუნდზე თუ იცით რამე და როგორ ფიქრობთ, რა არის საქართველოში რაგბის განვითარებისათვის საჭირო?*

— ვიცი, რომ საკმაოდ კარგი ნაკრები გყავთ. რაგბის განვითარებისათვის კი ახალგაზრდების მიხედვაა საჭირო. ამ მხრივ თუ სწორედ იმუშავებთ, დიდ წარმატებებს მიაღწევთ.

**ლადო ჭულუკიძე**



[illegible] ფოტო

როგორია? გეო კრონხე და სხვა სტუმრები ქარში ვარჯიშის შემდეგ ცივ აბაზანასაც ხორხოცით იღებენ

***P.S.*** *ბოლოს ერთ წმინდა ადამიანურ ფაქტორზე შევაჩერებთ თქვენს ყურადღებს. სამხრეთაფრიკელი მორაგბეები ბაზაზე საკმაოდ თავისუფლად და უშუალოდ იქცეოდნენ, მიუხედავად იმისა, რომ ბევრი მათგანი სამშობლოში და მის გარეთაც პოპულარული სპორტსმენი და ბრწყინვალე გუნდის წევრია, ვარსკვლავური ავადმყოფობისა მათ არაფერი ეტყობათ. ძველი ცოდვების გახსენება ცუდ ტონად ითვლება, მაგრამ მაინც გვახსენდება ხრისტო სტოიჩკოვის ქცევა აქ სტუმრად. მაშინ მას არაფერი არ მოსწონდა ჩვენი, არც ქვეყანა, არც ჟურნალისტები და საერთოდ, უბრალოდ რომ ვთქვათ, არაკაცურად იქცეოდა. ეს კი სულ სხვა ხალხია. მიუხედავად იმისა, რომ ბაზაზე შუქი გამოირთო და საშხაპეებთან დაკავშირებით იყო რაღაც პრობლემები, დღევანდელ სტუმრებს ერთი უკულმართი სიტყვა არ დასცდენიათ, არც ერთს ცხვირი არ აუწევია და ყველანი ყოველ კითხვაზე პასუხს საქართველოს ქებით იწყებდნენ.*

*იცით რატომ არის ასე? — კაცები არიან და იმიტომ, მორაგბეები არიან და იმიტომ.*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნისტელროი და ბავშვები

ჰოლანდიის საფეხბურთო ნაკრები გახურებულ სამზადისშია — ხვალ პორტუგალიაში ევროპის ჩემპიონატი იწყება. ლუზიტანიაში ჩასული ნიდერლანდელები კურორტ ალბუფეირაში იწრთობიან, „ნარინჯისფერთა“ ფორვარდს, რუუდ ვან ნისტელროის ბიჭბუჭებთან წასაბურთავებლადაც მოუცლია.

REUTERS ალბუფეირიდან






REUTERS ჰამბურგიდან

## 12 დაჯილდოებული ქალბატონი

ყოფილი მსოფლიოს ჩემპიონი ფიგურულ სრიალში, გერმანელი კატარინა ვიტი თავს „მსოფლიოს საქმიანი ქალის“ პრიზით იწონებს, რომელიც ჰამბურგში გამართულ მსოფლიოს ქალთა გალა დაჯილდოვებაზე გადასცეს. ეს ღონისძიება ნაწილია იმ გლობალური პროგრამისა, რომელსაც „მსოფლიოს ქალთა ფორუმი“ ახორციელებს. ჰამბურგულ გალაზე კიდევ 12 ნომინაციაში დაუჯილდოებიათ მსოფლიოს გამორჩეული ქალები.

## პრეზიდენტი სიმბოლოებთან

პერუს პრეზიდენტი ალეხანდრო ტოლედო მომავალ კოპა ამერიკის ცოცხალ ლოგო-სახეებთან ხალისობს. 6-დან 25 ივლისამდე პერუში სრულიად ამერიკის საფეხბურთო ჩემპიონატი გახურდება და ეს პაწაწინა ლიმელებიც, სოფია სანჩესი და ჯონ ჰიუმენი, ამ ტურნირის სიმბოლოებად მიიჩნევიან.

REUTERS ლიმადან



# ალი სადილზე

„ამერიკელ გოგო-ბიჭების კლუბი“ ყოველწლიურ საპრეზიდენტო სადილს სწვევია ნიუ იორკში, სადაც ცოცხალ ლეგენდა მუჰამედ ალისა და ცნობილ კინოვარსკვლავ დენზელ ვაშინგტონს კამერების წინ კრივოსნულად უპოზიორიათ.




REUTERS ნიუ იორკიდან

REUTERS შანხაიდან



## 111 სუმოისტი

დახეთ, როგორ აუტაცია მომავალი სუმოისტი უკვე დაღვინებულ მავან იაპონელ სუმოისტს შანხაიში მიმდინარე ორდღიანი ტურნირის გახსნაზე. ჩინეთსა და იაპონიას შორის საჰაერო ხიდის გადების 30-წლიან იუბილესთან დაკავშირებით გამართულ ტურნირზე შანხაიში 111 სუმოისტი ჩასულა.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუგელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით ერაძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, დავით კვაჭანტირაძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაб წერეთელი, მირიან ხანიშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge